ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 19 დეკემბერი, 2011 №300 (5680) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ახალგაზრდა სტალინი
8 ლარი
14 დეკემბრიდან




# პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას!
# President Saakashvili, don't kill Press!

## სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იქნება?!

რაზე გაურიგდნენ ალასანია–უსუფაშვილი–თარგამაძე ბოკერია–უგულავას?



გვ.2

## გაერთიანდებიან თუ არა ივანიშვილი და ოქრუაშვილი





„ქართული პარტია“ მძლავრი ოპოზიციური კოალიციის შექმნაზე ალაპარაკდა

გვ.4

## გოგა ხაინდრავა: „ივანიშვილი ქართული პროექტია“

გვ. 5

„ნაციონალებს ქვეყნის სათავეში ყოფნის მორალური უფლება არა აქვთ!“





გვ. 3

## ცაგარეიშვილი ვანო მერაბიშვილს სიცრუეში ადანაშაულებს

## ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადავტეხოთ წელში!“

გვ. 2



„ახალი თაობა“+ ნობელი
8 ლარი
6 დეკემბრიდან




## ღლონტის „მაესტროს“ გაგითიშავენ და კიწმარიშვილისას ჩაგირთავენ!

გვ. 3

ISSN 1987-9385

4 ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლსაც გადაიტანენ

7 „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა ხალხს იმედი გაუცრუოს!

6 გუგული მაღრაძე: „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა დაგვეხმაროს“

11 გარდაიცვალა ვაცლავ ჰაველი — პრეზიდენტი, დისიდენტი, დრამატურგი

# სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იქნება?!

## რაზე გაურიგდნენ ალასანია–უსუფაშვილი–თარგამაძე ბოკერია–უგულავას?

ქეთი ხომერიკი

ალბათ, ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, დაახლოებით ერთი თვის წინ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში რომ შეხვდა ერთმანეთს. მაშინ შეხვედრის ოფიციალურ მოტივად შვედეთის დედაქალაქში გამართული დემოკრატიისადმი მიძღვნილი კონფერენცია დასახელდა, რომელზეც, რატომღაც, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მსგავსი პრეცედენტი – ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად კონფერენციაზე, ისტორიას არ ახსოვს. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოკერია-უგულავა-ალასანია-უსუფაშვილ-თარგამაძის ვოიაჟი ამით არ ამოწურულა. ისინი სტოკჰოლმის ფეშენებელურ სასტუმროში ლანჩზეც შეიკრიბნენ და რაზე ისაუბრეს, ვინ იცის... მაშინ ,,ახალი თაობა" ამ საკითხზე ,,თავისუფალი დემოკრატების" ლიდერ ირაკლი ალასანიას ესაუბრა, მისი პასუხი ასეთი იყო – სტოკჰოლმში კონფერენცია მართლაც შედგა საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც ვიმყოფებოდი. იქ იყვნენ არასამთავრობოების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლებიც. კონფერენციაზე გვქონდა მწვავე პოლემიკა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის. ბოკერიაც და სხვებიც არიან ჩემი პოლიტიკური ოპონენტები და, ბუნებრივია, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ჩვენ გვაქვს ძალიან ცხარე პოლემიკა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ამის გარდა, ჩვენ არაფერი გვაკავშირებს ერთმანეთთან და ისიც მინდა გითხრათ, რომ იმდენად განსხვავებული წარმოდგენები გვაქვს ჩვენ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, მათ შორის ბოკერიას ქვეყნის განვითარებისთვის ფუნდამენტურ საკითხებზე, რომ რამე კოორდინაცია და რამე ფორმით ურთიერთობა სამომავლოდ წარმოუდგენელია. მართალია, ირაკლი ალასანიამ ჩვენთან საუბრისას გავრცელებული ინფორმაცია, რომ სტოკჰოლმში ის, თარგამაძე, უსუფაშვილი, უგულავა და უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ლანჩზე შეიკრიბნენ და ისაუბრეს, არ დაადასტურა, თუმცა საპირისპიროს ამბობს ჩვენი ინფორმირებული წყარო.


ირაკლი ალასანია

,,ახალი თაობის" კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ჩვენმა კონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ხელისუფლების წამყვანმა ფიგურებმა ლანჩზე არათუ ისაუბრეს, არამედ კონკრეტულ შეთანხმებასაც კი მიაღწიეს. დიახ, ლანჩზე მათ გარიგება დადეს, თანამდებობებიც კი გადაინაწილეს, აცხადებს წყარო. აი, როგორი სურათი გვაქვს – მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს, შესაბამისად, პარლამენტში იქნება წარმოდგენილი, ოღონდ არა კონსტიტუციური უმრავლესობით, ასევე ივანიშვილ-ალასანია-უსუფაშვილის გუნდი, თანაც არა 2-3 კაცით, არამედ დიდი არმიით, რა თქმა უნდა, გიორგი თარგამაძე თავისი გუნდით და კიდევ ხელისუფლების სხვა სატელიტ პარტიებსაც ღირსებენ პარლამენტარობას. იმ ოპოზიციური ძალებისთვის, რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან ჩახუტებული, პარლამენტის კარი დახურული იქნება, მათ იქ არაფერი ესაქმებათ და, რაც ყველაზე მთავარია, მიღწეული შეთანხმების თანახმად, მიხეილ სააკაშვილი არსად წავა, ის პარლამენტის თავმჯდომარე იქნება. ნაციონალური მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატებთან ან თავის სხვა სატელიტ 2-კაციან პარტიებთან პარლამენტში მოხვედრის შემდეგ კოალიციას შექმნის და ესეც შენი კონსტიტუციური უმრავლესობა, გვეუბნება წყარო.


მიხეილ სააკაშვილი

თუ ჩვენი წყარო არ ცდება და მსგავსი შეთანხმება მართლაც შედგა (ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, თუმცა, ჩვენი წყაროს ინფორმაციები არაერთხელ გამართლებულა, იგივე ექვსიან - რვიანის დაშლა-არდაშლის ამბავში), საკითხავია, რატომ დადეს გარიგება ხელისუფლების წარმომადგენლებთან ივანიშვილის პარტნიორებმა, ქრისტიან-დემოკრატებმა, ალბათ, გასაგებია, რატომაც. მათ დიდი ხანია ხელისუფლების სატელიტ პარტიად მოიაზრებენ. სააკაშვილ-მერაბიშვილთან ბრძოლას თავი აარიდეს, ვერ მოუგებდნენ, მართლაც ჰქონდა მათზე კომპრომატები მერაბიშვილის უწყებას, პარლამენტში ხელისუფლებასთან გარიგების გარეშე ვერ მოხვდებოდნენ თუ რატომ? ალბათ, ამ უკანასკნელის გამო, ვინ იცის...


დავით უსუფაშვილი

როგორც ჩანს, ივანიშვილის ფუნქცია და როლი არა ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლა, არამედ ალასანიასა და პარტიის, რომელიც არჩევნებზე 2%-ს ძლივს იღებს, დიახ, რესპუბლიკელებს ვგულისხმობთ, პარლამენტში შეყვანა ყოფილა. ჩვენ შემთხვევით არც სოციალური გამოკითხვები ვიხილეთ. შეგახსენებთ, რომ აირაი-ს კვლევის შედეგების მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი სამ პოლიტიკურ სუბიექტს აქვს – ნაციონალურ მოძრაობას, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ძალასა და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას. კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას, პასუხები ასე გადანაწილდა: ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი – 32%; ბიძინა ივანიშვილი – 27%; გიორგი თარგამაძე – 10%. შალვა ნათელაშვილმა და ირაკლი ალასანიამ 2-2% მიიღეს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვის მიხედვით კი, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რესპონდენტთა 36% მხარს ნაციონალურ მოძრაობას დაუჭერდა, 32% – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ძალას, 4,3%-ით მესამე ადგილზე არიან ქრისტიან-დემოკრატები, მეოთხეზე და მეხუთეზე კი, შესაბამისად, 1,6%-ითა და 1,5%-ით – ლეიბორისტული პარტია და თავისუფალი დემოკრატები. ასევე, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 26,1% პრემიერ-მინისტრად 2013 წლიდან ბიძინა ივანიშვილს ისურვებდა, 24,2% – მიხეილ სააკაშვილს, 7,8% – ირაკლი ალასანიას, 5,8% – გიორგი თარგამაძეს, ხოლო 6,4% – გიგი უგულავას. ეს გამოკითხვები ერთ რამეს ემსახურება – საზოგადოებრივი განწყობის შექმნას, ხალხს აქედანვე აგუებენ ნაციონალური მოძრაობის უპირობო ლიდერობას, აი, ასე 4-5%-ით მოუგებს ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილის გუნდს, აცხადებს წყარო.

გავრცელებული ინფორმაციით, იყნოსეს ეს დანარჩენმა ოპოზიციურმა ძალებმა და საუბრები მესამე ცენტრის შექმნაზე რეალობას მოკლებული სულაც არ არის. თუმცა, რომელი პარტიები გეგმავენ გაერთიანებას და, საერთოდაც, შეიქმნება თუ არა მესამე პოლიტიკური ცენტრი, ჩვენთვის უცნობია. და რომც შეიქმნას, რას შეცვლის რომ?

რაც შეეხება ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაციებს ბოკერია-უგულავას გუნდის ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ, ეს რეალობას მოკლებული სულაც არ იყო, თუმცა, სტოკჰოლმური ვოიაჟის შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, დაიხურა. ბოკერია სააკაშვილის გვერდშია, არსად წასვლას და არავის მხარეს გადაბარგებას აღარ აპირებს.

,,ახალი თაობა" ამ საკითხზე სასაუბროდ ქრისტიან-დემოკრატების ლიდერ გიორგი თარგამაძესთან დაკავშირებას შეეცადა, თუმცა, ყოფილი ჟურნალისტი კარგა ხანია ჩვენს ზარებს აღარ პასუხობს. -

# ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადავტეხოთ წელში!"

ქეთი ხომერიკი

**რას აპირებს ტაიმაუტდამთავრებული „სახალხო კრება", რა გზით უნდა მივიდეთ არჩევნებამდე, რატომ არ გააჩინა „ქართულმა ოცნებამ" საზოგადოებაში ის მოლოდინი, რომელიც არსებობდა და იქნება თუ არა სახალხო კრება მესამე ცენტრი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრ ირაკლი ბათიაშვილს ესაუბრა.**

**ირაკლი ბათიაშვილი:**

– ,,სახალხო კრებამ" შეგნებულად აირჩია ასეთი ტაქტიკა, ვგულისხმობ იმას, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ნაკლებად ვჩანდით ასპარესზე, ტელევიზიებში და ა.შ. ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რათა ხელი არ შეგვეშალა, ასე ვთქვათ, იმ ჯანსაღი პროცესისთვის, რომელიც დაიწყო ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით. ამიტომ, ვინმეს რომ არ დაებრალებინა, რომ პარალელიზმს აქვს ადგილი, რაღაცის ხელის შეშლას ან არ მომხდარიყო გადაფარვა, შეგნებულად ავირჩიეთ, ასე ვთქვათ, დროებითი ტაიმაუტი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში არაფერს ვაკეთებდით. სახალხო კრება 26 მაისის მეორე დღესვე განაგრძობდა ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, აღმასრულებელი საბჭოს სხდომები რეგულარულად მიმდინარეობს და ჩვენი მთავარი საზრუნავი მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო და არის პოლიტიკური პატიმრები. ჩვენ 40 პოლიტიკური პატიმარი გვყავს, ზოგიერთის სასამართლო პროცესი ახლაც გრძელდება და, მინდა გითხრათ, რომ ,,სახალხო კრება" აღმოჩნდა არნახულად რეპრესირებული სუბიექტი, აღმოჩნდა ხელისუფლების აგრესიის მთავარი ობიექტი და, მგონი, ამაში დამეთანხმებით. ჩვენი 300 თანამებრძოლი დააპატიმრეს ადმინისტრაციული სასჯელებით და 40 პოლიტიკური პატიმარი გვყავს დაპატიმრებული სისხლის სამართლის მუხლით. ჩვენ მოვყევით საშინელი პრესის ქვეშ. ამას ემატება უდიდესი მატერიალური წნეხი, რომელიც განახორციელა ხელისუფლებამ ჩვენ მიმართ. კარგად გახსოვთ, ბოლო მომენტამდე ჩვენი ოფისი იყო დალუქული, ჩვენი ქონება არის დაყაჩაღებული, დიდი მანქანა ხომ გახსოვთ, სცენა რომ იდგა, აი, ამაზეც გვეუბნებიან, არ ვიცით, სად არისო. დღემდე ჩვენი მთავარი საზრუნავი, რა თქმა უნდა, არის პოლიტპატიმრები, რაც მოითხოვს ჩვენი მხრიდან სხვადასხვა აქტიურობას, პოლიტიკური, იურიდიული და სხვა თვალსაზრისითაც საჭიროებენ ეს ადამიანები თანადგომას და ა.შ. ჩვენ რეგულარულად ვიკრიბებით, რათა მიმდინარე პროცესების პულსზე გვედოს ხელი, პროცესების სწორი აღქმა და შეფასებები გვქონდეს, რათა შევიმუშაოთ სწორი მოქმედების გეგმა. რა თქმა უნდა, სახალხო კრება ვერ გაჩერდება. კრებამ უზარმაზარი პროცესი წამოიწყო 2010 წელს და, თავისთავად ცხადია, არც ჩვენი პოლიტპატიმრების არსებობა გვაძლევს იმის უფლებას, რომ გაჩერდეთ.


ირაკლი ბათიაშვილი

***– ტაიმაუტი დამთავრდა? მაინც რა მიმართულებით აპირებთ გააქტიურებას, რა კონკრეტული გეგმა გაქვთ?***

– ყველა მიმართულებით ვაპირებთ გააქტიურებას. ხვალ გვაქვს რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა ძველ თბილისში და, რა თქმა უნდა, მოვისმენთ მათ მოსაზრებებს, შეფასებებს, ასევე გავაცნობთ ჩვენი მოქმედების სამომავლო გეგმებს და კვლავ გავშლით მუშაობას თბილისში და რეგიონებშიც.

***– და ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა-მუქარას აღარ აქვს ადგილი?***

– ერთი მთავარი რამ გამომრჩა – ეს ზეწოლა განხორციელდა არა მარტო თბილისში, არამედ ძალიან მწვავედ – რეგიონებშიც. რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში – ყველგან, არსად არ აძლევდნენ საშუალებას ჩვენს წარმომადგენლებს, შეკრებილიყვნენ, ოფისში კვლავ დამსხდარიყვნენ, მუშაობის საშუალება არ მიეცათ, მიდიოდა მუქარა, შანტაჟი და ა.შ. დამისახელეთ რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალა საქართველოში, რომლის მიმართაც ხელისუფლებამ ასეთი რეპრესია განახორციელა, ვერ დამისახელებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ უფლება არ გვაქვს, გავჩერდეთ. მეტიც, ახლო პერიოდში, ალბათ, თვითონ საზოგადოებაც გვეტყვის, რომ არ გვაქვს გაჩერების უფლება. ჩვენს ინტერესში შედის, რომ იმ პროცესს, რომელიც ახლა დაიძრა, ყველამ ხელი შეუწყოს, რათა ის დაღმა კი არ წავიდეს, არამედ – აღმა, მისი მუხტი გაძლიერდეს. ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ პროცესზე და არა რომელიმე პიროვნებაზე. ჩვენს საერთო ინტერესებშია, რომ ეს ჯანსაღი ოპოზიციური პროცესი სულ უფრო და უფრო გაძლიერდეს.

***– როგორ აპირებთ ამას? ისიც კი ითქვა, კრება მესამე ცენტრი იქნებაო, რადგან ივა-***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ცაგარეიშვილი ვანო მერაბიშვილს სიცრუეში ადანაშაულებს

## დეპუტატის შვილზე განხორციელებული თავდასხმა გახსნილად გამოცხადდა

შალვა ჯოხაძე

დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის ვაჟის, ზურაბ ცაგარეიშვილის ცემის საქმე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გახსნილად გამოაცხადა. ცაგარეიშვილი მერაბიშვილის უწყების მიერ შემოთავაზებულ ვერსიას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ შსს ტყუის.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ერთი პირი დაკავებულია, არსებობს მხარეთა აღიარებითი ჩვენებებიც.

– 14 დეკემბერს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ზურაბ ცაგარეიშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ზურაბ ცაგარეიშვილი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე რესტორან „ეიჩ-ბიში“, სადაც მას სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა მისთვის უცნობ ივანე ერგემლიძესთან. ეს უკანასკნელი რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ დაუკავშირდა თავის მეგობრებს – ირაკლი გიორგაძეს, ლევან ჭუმბურიძეს, ვოვა ილინს, რათა მოეხდინა ანგარიშწორება რესტორანში მომხდარი შელაპარაკების გამო. ივანე ერგემლიძე და მისი მეგობრები დაელოდნენ რესტორანში მომხდარი შეკამათებისას ყველაზე აქტიურ მონაწილეს, ზურაბ ცაგარეიშვილს და რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ ავტომანქანით გაყვნენ მას სახლამდე. შევიდა რა ცაგარეიშვილი თავისივე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ივანე ერგემლიძემ მეგობართან ირაკლი გიორგაძესთან ერთად მიაყენა მას სხეულის დაზიანება.

17 დეკემბერს ივანე ერგემლიძე დაკავებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

საქმეში ასევე წარმოდგენილია მხარეთა აღიარებითი ჩვენებები.

გამოძიებას აწარმოებს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილება, – ასეთ ინფორმაციას გვაწვდის შსს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არსებულ უზუსტობებზე საუბრობს. მისი განცხადებით, როგორც ჩანს, შსს-ს სურს, რომ ოპერატიულობა დააფიქსიროს, თუმცა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ძალიან ბევრი უზუსტობაა დაშვებული.

ცაგარეიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მისი შვილი, ზურაბ ცაგარეიშვილი წარმოჩენილია, როგორც ერთ-ერთ რესტორანში მომხდარი დაპირისპირების ყველაზე აქტიური მონაწილე, თუმცა დეპუტატი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ იმ რესტორანში არანაირი კონფლიქტი, არც ფიზიკური შეხლა-შემოხლა და სიტყვიერი დაპირისპირება არ ყოფილა.

ცაგარეიშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დღემდე არ დაუკითხავს მისი შვილის არც ერთი მეგობარი, რომლებიც ზურაბთან ერთად იყვნენ რესტორანში.

დეპუტატის აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში არ ფიგურირებს მანქანა და მძღოლი, რომელიც დამნაშავეებს ერთ-ერთ ქუჩაზე ელოდებოდა.

ასევე, მერაბიშვილის უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ დამნაშავეები ზურაბ ცაგარეიშვილს რესტორნიდან გაყვნენ, თუმცა არ არის განმარტებული, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, როგორ აღმოჩნდნენ თავდამსხმელები დახურულ სადარბაზოში, როგორ დახვდნენ ცაგარეიშვილს სადარბაზოში და რატომ იდგა მანქანა შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში.

გიორგი ცაგარეიშვილს აინტერესებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო რატომ არ აქვეყნებს ყველა დამნაშავის ვინაობას, მათ სამსახურებრივ მდგომარეობას და იმ თანამდებობას, რომელიც წინა წლებში ეკავათ. ასევე, საინტერესოა, რომელიმე მათგანი ხომ არ არის ადრე პასუხისგებაში მიცემული და ა.შ. დეპუტატის ინფორმაციით, თავდამსხმელები მის შვილზე მინიმუმ, 10-10 წლით უფროსები იყვნენ.



გიორგი ცაგარეიშვილი

– შსს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც დაკავებულ პირს ეხება, შეიძლება, სიმართლე იყოს.

საქმეში არსებულ მასალებს ჯერ არ გავცნობივარ და ამის გამო, დაკავებულთან დაკავშირებით რამეს მტკიცებას ან უარყოფას ვერ დავიწყებ.

ინფორმაციის დანარჩენ ნაწილს რაც შეეხება, ეს თავიდან ბოლომდე ტყუილია, მხოლოდ ვინმე ერგემლიძისა და სხვათა ჩვენებებს ეფუძნება, რომელთაც მე არ ვენდობი. ეს ადამიანები ასეთ მონაჩმახს საკუთარი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით და შსს-ს დაჟინებული მითითებით დაწერდნენ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ზურაბ ცაგარეიშვილსა და ვინმე ერგემლიძეს შორის რესტორანში არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა და ეს თავიდან ბოლომდე სიცრუე და ტყუილია.

ჩემი ვაჟი რესტორანში დაახლოებით 00:20 საათამდე იმყოფებოდა და იქ ის სავარაუდო პირებიც იყვნენ, რომლებსაც შსს საკუთარ განცხადებაში ასახელებს. თუ მათ შორის შელაპარაკება რესტორანში მოხდა, რატომ არ გაგრძელდა ეს კონფლიქტი რესტორანშივე და რატომ გადმოინაცვლა სადარბაზოში? ან რა საჭირო იყო ამისთვის 4 ადამიანი? როცა ზურაბი სადარბაზოში შემოვიდა, მას იქ უკვე ელოდნენ. სადარბაზოს სიახლოვეს კი, კერძოდ, „თიბისი ბანკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, თავმდამსხმელებს ავტომანქანა ელოდათ, რომელშიც სავარაუდოდ, მეხუთე პირი იჯდა. ეს მანქანა „თიბისი ბანკის“ სათვალთავლო კამერის მიერ არის დაფიქსირებული. ასე რომ, ეს იყო კარგად დაგეგმილი ოპერაცია, ხოლო ის, თუ საიდან დაიგეგმა, გასარკვევია.

აქამდე თავს ვიკავებდი რამე კონკრეტული განცხადებისგან, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გავრცელებულმა ინფორმაციამ მაიძულა, რომ ეს განმარტებები გამეკეთებინა, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის ინფორმაციით, ზურაბ ცაგარეიშვილის უფლებებს ადვოკატი შალვა შავგულიძე დაიცავს, რომელიც ორშაბათს შეეცდება, გამოძიებისგან ყველა მტკიცებულება მოიპოვოს და მას შესაბამისი კითხვებითაც მიმართოს. ირკვევა, რომ ამ ყველაფერთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას დღეს „თავისუფალი დემოკრატებიც“ გააკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ცაგარეიშვილმა მისი ვაჟის ცემიდან მოკლე ხანში ეს ფაქტი მისსავე პოლიტიკურ საქმიანობას დაუკავშირა. ცაგარეიშვილმა „ახალ თაობას“ დეტალურად უამბო, თუ რა მოხდა მისი სახლის სადარბაზოში.

– ჩემს შვილს დაახლოებით პირველის ნახევარზე სადარბაზოში, უკვე შიგნით დახვდნენ. ჩვენ კავსაძის 9-ში ვცხოვრობთ. ოთხი-ხუთი ადამიანი იყო, უცნობები. სადარბაზო გამჭოლია, მისი მეორე კარი ეზოში გადის, სავარაუდოდ, იქიდან შემოვიდნენ. როგორც კი ბავშვმა სადარბაზოში ფეხი შემოდგა, რკინის კარი დაკეტეს და უმოწყალოდ ცემა დაუწყეს. სადარბაზოს კარი მე გავუღე, ჩვენ ე.წ. დამაფონი გვაქვს და რადგანაც ბიჭი დაახლოებით ორი-სამი წუთით შეფერხდა, ვიეჭვე, რაღაც ისე ვერ იყო. სადარბაზოში გამოვედი, დავიძახე, ხმა ვერ გამაგონა. შემდეგ მეოთხე სართულიდან ქვემოთ წავედი და ფაქტობრივად ზურაბი უკვე მესამე სართულზე იყო სასტიკად ნაცემი. ის ნაძირლები აბაშიძის ქუჩის მიმართულებით გაიქცნენ. გარშემო დაახლოებით ათამდე ვიდეოთვალი არის დამონტაჟებული – ბანკის ფილიალია, აფთიაქები, სავაჭრო ცენტრი – ამ ვიდეოთვალებმა, სავარაუდოდ, ისინი დააფიქსირეს. ზურაბს გაწევ-გამოწევისას ტელეფონი ამოუვარდა, საფულეც, სადაც ოც ლარამდე ედო. ჩხუბისას უთხრა, ესენი აიღეთ და თავი დამანებეთო, თუმცა მათ მიუგეს, რომ არც ტელეფონი და არც ფული არ სჭირდებოდათ.

ნაცემი ბავშვი ჯერ სახლში ამოვიყვანეთ. პატრული გამოვიძახეთ, ვაკის საპატრულო პოლიციიდან რამდენიმე ეკიპაჟი მოვიდა, მოვიდნენ გამომძიებლები, სასწრაფო დახმარების ბრიგადა. შემდეგ ექიმების რჩევით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. პოლიციელები იქაც მოვიდნენ, ზურაბმა ჩვენების მიცემა დაიწყო, რაც სახლში გაგრძელდა, რადგან გამოგვწერეს. პოლიციელები დამპირდნენ, რომ ვიდეოკადრებს ამოიღებენ და მაჩვენებენ. მე კინოჩვენება კი არ მჭირდება, თუ ვინმეს ამოიცნობენ, თუ ვინმე ჩანს კადრებში, მაშინ უნდა მანახონ, თორემ მე საგამოძიებო ქმედებებში ჩართვის არანაირი უფლება არ მაქვს, არც ვაპირებ და არც მინდა. მე ვითხოვ დამოუკიდებელ გამოძიებას. ვფიქრობ, ეს ყველაფერი სწორედ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის გამო მოხდა. ამაში ეჭვი არ მეპარება.

მე ვფიქრობ, ეს კარგად დაგეგმილი ოპერაცია იყო. მე ზურაბს პირველის 16 წუთზე დავუკავშირდი, ზუსტად ვიცი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი ტელეფონი ისმინება, ახლაც რომ გესაუბრებით, ეს ინტერვიუც იწერება, იმიტომ რომ ხმა გაორებული მომდის. უტყუარი ინფორმაცია მაქვს, რომ ჩემი ტელეფონი უკვე კარგა ხანია ისმინება. ბატონ ივანეს მინდა შევახსენო, მერაბიშვილს, რომ მეც მყავს ზუსტად იმ სამსახურში ხალხი, რომელიც ოპერატიული მოსმენებითაა დაკავებული. სხვათა შორის, ესენი ქალბატონებიც არიან და ბატონებიც. ასე რომ, მან იცოდეს იქ ხალხი მყავს და ისინი მე ინფორმაციას მაწვდიან. მე მაქვს სრული ინფორმაცია, ვის უსმენენ ეს ნაძირლები. ზურაბს როცა ვესაუბრე, მეგობრებთან ერთად წვეულებაზე იმყოფებოდა. მეგობრები ჩასხდნენ მანქანაში, საბურთალოდენ ვაკისკენ გამოემართნენ... აქ საქალაქო სამსახური ქუჩას ხაზავდა, ამიტომაც კავსაძეზე მანქანას არ ჩამოუხვევია. მეგობრებმა ზურაბი აბაშიძისა და კავსაძის გადაკვეთაზე ჩამოსვეს, მან ზუსტად ოცი მეტრი გამოიარა და უკვე სადარბაზოში ზურაბს ეს ნაძირლები დაახვედრეს.

---

# საქართველომ და ჰაიტიმ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს

საქართველომ და ჰაიტის რესპუბლიკამ დღეს ხელი მოაწერეს ოქმს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. ხელმოწერილი ოქმის თანახმად, ესწრაფიან რა განავითარონ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები, ერთმანეთთან ურთიერთობებში სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ სუვერენული თანასწორობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფო საზღვრების ურღვეობისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით.

ჰაიტის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა ამ სახელმწიფოს საქმეების დროებითმა რწმუნებულმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ჟან კაზომ, საქართველოს მხრიდან – საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ალექსანდრე ლომაიამ.

ხელმოწერის ცერემონიალი ნიუიორკში, გაეროსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა ერთობლივი წერილით აცნობეს გაეროს გენერალურ მდივანს, ბან კი მუნს.

გაეროს 192 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებს 165-თან.

მედიანიუსი

---

# ღლონტის „მაესტროს“ გაგითიშავენ და კიწმარიშვილისას ჩაგირთავენ!

## სააკაშვილის რეზიდენციასთან აქცია გაიმართება, კიწმარიშვილს კი სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შეაქვს

შალვა ჯოხაძე

სამშაბათს, 20 დეკემბერს, 15 საათზე სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციასთან „მაესტროს“ მხარდასაჭერი აქცია „მეც მაესტროელი ვარ“ გაიმართება. ამ აქციის მიზეზად ის ინფორმაცია იქცა, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, მალე, ასე ვთქვათ, მამუკა ღლონტის „მაესტრო“ საერთოდ გათიშონ და მას ეროსი კიწმარიშვილის „მაესტრო“ ჩაანაცვლონ. ამჟამად მართლაც ორი „მაესტროა“, რადგან ირკვევა, რომ ტელეკომპანიის სახელი და ლოგო დაპატენტებული არ არის და ის შეიძლება გამოიყენოს როგორც ღლონტმა, ასევე კიწმარიშვილმაც. თუმცა, ლოგოსა და სახელის დუბლირებაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთ-ერთ „მაესტროს“ საბოლოოდ დახურვა ემუქრება.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ საკაბელო კომპანიებზე დაიწყო ზეწოლა, „მაესტროს“ გამორთვის მიზნით. შეიძლება, სულ რამდენიმე დღეღა დაგვრჩა მაუწყებლობის, „იმედი 2“-ის განხორციელება გადამწყვეტ ფაზაში შედის. თუ საზოგადოება დაუშვებს „მაესტროს“ გათიშვას, მაშინ საზოგადოება დაუშვებს გაყალბებულ არჩევნებსაც და მიშას სამუდამო მმართველობასაც, გადავარჩინოთ „მაესტრო“, – აცხადებს მამუკა ღლონტი „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე.

ამ დროს, ეროსი კიწმარიშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას ადასტურებს, რომ საკაბელო მაუწყებლებთან გარკვეულ მოლაპარაკებებს აქარმოებს და ეთერში გასასვლელადაც ემზადება.



„მაესტროს“ მხარდასაჭერად გამართული აქციები კიწმარიშვილს თვალში არ მოსდის და მაესტროელებს აფრთხილებს, თუ ისინი ასეთ რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას, ტელევიზიის კარი მათთვის საბოლოოდ დაიხურება. ეროსი კიწმარიშვილი 19 დეკემბერს შპს „სტუდია მაესტროს“ დამფუძნებლების წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს და მათგან 7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. ეს ის თანხაა, რაც, მისი მტკიცებით, ტელევიზიის განვითარებას მოახმარა.

„მაესტროს“ ირგვლივ ატეხილი სკანდალის მიღმა კი მედიის წინააღმდეგ მიმართული მრავალი სხვა მოვლენაც ვითარდება. რომ აღარაფერი ვთქვათ ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიასთან დაკავშირებით, უტევენ სხვა ტელევიზიებსაც. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ თავის კონტროლს კიდევ ერთი კერძო ტელეკომპანია დაუქვემდებარა. ესაა გურიის ტელევიზია, რომლის დამფუძნებლის, მერაბ სიორიძის ადვოკატმა თედო კობახიძემ და არხის ყოფილმა მთავარმა პროდიუსერმა ელდარ მდინარაძემ რამდენიმე დღის წინ გააკეთეს განცხადება. ტელევიზიის წარმომაგდენელთა თქმით, ტელეკომპანიების – „მზის“, „თრიალეთის“, „ტევე25“-ის და „მაესტროს“ შემდეგ, უკვე გურიის ტელევიზიის ჯერიც დადგა.

ელდარ მდინარაძის განცხადებით, სამართლებრივ სივრცეში მესაკუთრის კანონიერი უფლებების დაცვის შეუძლებლობა თავისუფალ მედიაზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახა.

– დაუქვემდებარა რა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში თავის კონტროლს „ნაციონალური მაუწყებლები“, ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში პრობლემები აქა-იქ შემორჩენილ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებსაც შეუქმნა. ზოგის ისტორია ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე უფასო ჩუქებით დასრულდა, როგორც „მზის“ შემთხვევაში. ზოგ შემთხვევაში, როგორც „ტევე25“-თან დაკავშირებით მოხდა, მაუწყებელმა შეძლო არსებობის შენარჩუნება.

განსაკუთრებული პრობლემები ტელე, ინტერნეტ და ბეჭდური მედიისთვის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებას და პოლიტიკური პროცესების გააქტიურებას მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითიც კი გურიის ტელევიზიის ისტორიაა, სადაც ბოლო პერიოდში, გაძლიერდა მენეჯმენტი და დაისახა ტელეკომპანიის მაუწყებლობის თვისებრივი გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა. ხელისუფლებამ მყისვე აამუშავა ნაცადი მეთოდები, ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით გააცოცხლა უზენაეს სასამართლოში ტელეკომპანი „გურია ტევე“-ის ადრინდელ მეპატრონეებს შორის 1991 წლიდან პერიოდულად მიმდინარე დავის საქმე და, საბოლოო ჯამში, არხის კანონიერ მესაკუთრეს, ხათუნა სიორიძეს ჩამოართვა კუთნილი 100%-იანი წილი.

სამართლებრივი კუთხით, საქმე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა, ყველასთვის ცხადია, რომ ადგილი აქვს მედიასაშუალების მთავრობის კონტროლქვეშ მოქცევის მორიგ ფაქტს, – აცხადებენ გურიის ტელევიზიის წარმომადგენლები.

ტელეკომპანია „გურია ტევეს“ მფლობელი უზენაეს სასამართლოს საქმის გაყალბებაში ადანაშაულებს და პროკურატურისაგან საქმის გამოძიებას ითხოვს. ტელეკომპანიის დამფუძნებლის ადვოკატი და პროდიუსერი მიიჩნევენ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხელისუფლების ხელი ურევია, რადგან მას არ სურს ქვეყნის რეგიონში მისგან დამოუკიდებელმა ტელევიზიამ იარსებოს. ადვოკატი პროკურატურას კონკრეტული მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნით მიმართავს. ტელეკომპანიის წარმომადგენლები და შემოქმედებითი ჯგუფი საქმის განხილვის გაგრძელებას სტრასბურგში აპირებს.



ირაკლი ოქრუაშვილი

# გაერთიანდებიან თუ არა ივანიშვილი და ოქრუაშვილი

## „ქართული პარტია“ მძლავრი ოპოზიციური კოალიციის შექმნაზე ალაპარაკდა



ბიძინა ივანიშვილი

თეა მარხვაიძე

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ფანებს შეუძლიათ, ცოტა ხნით გაიხარონ. გუშინ თბილისში ხმა გავრცელდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში მომავალ წელს დაბრუნდება. ჯერჯერობით უცნობია, რითი ჩამოვა ექს–მინისტრი, ტივით თუ „ზილით“, მაგრამ მას აქ ისევ ელოდებიან.**

**მოგეხსენებათ, რომ ქართული პარტიის გარშემო დიდი ამბები დატრიალდა. პარტიას თავიდან 5 თანათავმჯდომარე ჰყავდა, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ორის იმედად დარჩა. ქართული პარტია ჯერ ლევან გაჩეჩილაძემ და კოკა გუნცაძემ დატოვეს. მოგვიანებით მათ გზას სოზარ სუბარიც დაადგა.**

**თანათავმჯდომარეების პოსტები მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილსა და ეროსი კიწმარიშვილს არ დაუტოვებიათ. ამ უკანასკნელს ბოლო დროს პარტიული საქმეებისთვის არ ეცალა. ის ალპინიზმითა და ღობეებზე გადახტომით იყო დაკავებული.**

მავანმა და მავანმა ქართული პარტია დაშლილადაც გამოაცხადა. არადა ეს პარტია აპირებდა ამ ხელისუფლების დემონტაჟს. პარტია დიდი ზარ-ზეიმით გასული წლის 24 ნოემბერს დაფუძნდა. ამ ყრილობაზე პარტიის ლიდერებმა პირობა მოგვცეს, რომ ხელისუფლების შეცვლისთვის მზად ადრიანი გაზაფხულისთვის იქნებოდნენ.

ხელისუფლების შეცვლას მათთან ერთად სახალხო კრებაც აპირებდა. ერთნიცა და მეორენიც რადიკალური ქმედებების მომხრეები იყვნენ. ამის მიუხედავად ერთმანეთში საერთო ენა მაინც ვერ გამონახეს. მთელი ზამთარი და ადრიანი გაზაფხულიი ერთმანეთს აგინებდნენ.

მაისის თვეში კი კინაღამ საერთო ენაც გამონახეს. პირობა მოგვცეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ჩამოვიდოდა და კრებასთან ერთად შეცვლიდა სააკაშვილს.

პარიზიდან მისი ჩამოსვლის თარიღიც გვამცნეს. ეს 25 მაისს უნდა მომხდარიყო. მასთან ერთად საქართველოში კოტე გოგელიაც უნდა ჩამოსულიყო. მოგვიანებით ეროსი კიწმარიშვილმა მათ მიერ შეძენილი ავია-ბილეთების ასლებიც გვაჩვენა. მაგრამ არავინ დაიჯერა. იმიტომ რომ თავად იოქრუასვილმა დაგვიბარა, 24 მაისს მანდ ჩემი ფეხი არ იქნებაო.

მისი ჩამოუსვლელობა მაშინ ბურჯანაძის ხისტ პოზიციას დააბრალეს. ნინო ბურჯანაძე ხელისუფლების შესაცვლელად ხალხის შეკრებას თავისუფლებაზე აპირებდა. ოქროს კი ავლაბარში უნდოდა ხელისუფლების შეცვლა.

ამის გამო აღარ დაბრუნდა ოქრო სამშობლოში. სადაც მას ძალოვანები და მისი ფანები მოუთმენლად ელოდებიან.

ძალოვანებმა მოგვიანებით ოქრუაშვილის დაბრუნების სხვა გზა გვამცნეს. გვითხრეს, რომ ის სამშობლოში ზილით უბდა შემოსულიყო. მასთან ერთად საქართველოსი რუსი სპეცრაზმელებიც შემოვიდოდნენ.

ამ ამბის გახმაურებას დიდი დაპატიმრებები მოჰყვა. ციხეში ლამის ნახევარი ტყვიავი გაუშვეს. ტყვიავი ოქროს მშობლიური სოფელია. აქაურებს ნამინისტრალი ძალიან უყვართ. იარაღის დათესვის ამბავიც გემახსოვრებათ ყველას. ამ ბრალდებით ბევრი ადამიანია დაკავებული. ოპოზიცია მათ პოლიტპატ\იმრებად მიიჩნევს.

ზილით სამშობლოში დაბრუნების ვერსიას სასაცილოდ მიიჩნევს ირაკლი ოქრუაშვილი. რამდენიმე თვის წინ მან სამსობლოსი დაბრუნების პირობა კიდევ ერთხელ მოგვცა. ოღონდ ისიც დააყოლა, რომ ამას წინასწარ არარ დაანონსებდა.

და იყო ერი მისი ამბის მოლოდინში. მის ნაცვლად პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა. ამ გამოჩენამ მეგაპოპულარული ოქრუაშვილი დაჩრდილა.

ჩრდილში ყოფნა ოქრუასვილს არ უყვარს. ამის მიუხედავად მან პირობა არ დაარღვია და პარიზიდან აღარაფერი შემოუთვლია. არც დაბრუნებაზე უტქვამს რამე. სამაგიეროდ გუშინ მის მაგივრად კიწმარიშვილი ალაპარაკდა.

კიწმარიშვილმა ყოფილი მინისტრის დაბრუნების სავარაუდო თარიღიც დაასახელა. ყველაფერი თუ ისე იქნა როგორც ამათ სურთ, ოქრო სამშობლოში რამდენიმე თვეში უნდა დაბრუნდეს.

ეროსი კიწმარიშვილის გათვლებით, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში მაისის ბოლოს უნდა დაბრუნდეს. ამის შესახებ კიწმარიშვილმა „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ და „ქართული პარტიის“ გაერთიანებული სადამფუძნებლო ყრილობის შემდეგ განაცხადა.

თუმცა მოგვიანებით კიწმარიშვილმა ერს ცივი წყალი გადაასხა. გვამცნო, ოქროს დაბრუნებაზე კრინტიც არ დამიძრავს და მაისი საიდან მოიტანეთო.

მისი თქმით, „ქართული პარტიის“ ლიდერები მმართველი „რეჟიმის დემონტაჟს“ სწორედ ამ ვადებში ვარაუდობენ. როგორც კიწმარიშვილმა აღნიშნა, ყრილობის მიმდინარეობას ირაკლი ოქრუაშვილი თვალყურს პარიზიდან ადევნებდა.

– იმ პირობებში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ძლიერ და მოტივირებულ პოლიტიკურ ძალასთან, ისეთთან როგორსაც წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, კოალიციის შექმნა და ერთობლივი ძალით ბრძოლა აუცილებელია. ხმები, ჩვენი გარდაცვალების შესახებ, ნამდვილად გადაჭარბებული იყო. „ქართულმა პარტიამ“ შექმნა 2011 წლის მაისის მოვლენებისადმი დიდი მოლოდინი. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად იმიტომ დასრულდა, რომ ჩვენი კოლეგები მზად არ აღმოჩნდნენ. ჩვენ არ შევქმნილვართ მოკლევადიანი მიზნებისთვის, „ქართული პარტია“ შეიქმნა, როგორც გამაერთიანებელი ძალა, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, „ქართული პარტია“ მოტივირებულია დიდი, სერიოზული პოლიტიკური გაერთიანების შესაქმნელად, რადგან „რეჟიმის დემონტაჟისთვის“ სხვა მეთოდი არ არსებობს.

„ქართული პარტიისა“ და „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გაერთიანებული სადამფუძნებლო ყრილობა გუშინ სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა. ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი ოქრუაშვილი, თანათავმჯდომარედ კი ეროსი კიწმარიშვილი აირჩიეს.

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში ყრილობის დელეგატებმა ირაკლი ოქრუაშვილი, ეროსი კიწმარიშვილი, რამაზ იოსელიანი, ლევან ტერაშვილი, სოფიო ხორგუანი, თეო ტლაშაძე, ლერი ლაფაჩი, ირაკლი დოლაბერიძე, კახაბერ ერგემლიძე და ამირან იობაშვილი აირჩიეს.

პარტიის ლიდერები პირობას დებენ, რომ ძალიან მალე სერიოზულ აქტიურობას დაიწყებენ. რასაკვირველია ხელისუფლების შეცვლის პირობასაც დებენ. ამ პირობის დადება არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ ავიწყდება.

ადრე ერი დიდი სიხარულით შეხვდებოდა იქროს გააქტიურებას. გუშინ კი ამაზე თითქმის არავის არ ჰქონია რეაქცია. პირიქით, ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

ხალხი ეჭვობს, რომ ეს პარტია ხელისუფლენასთან არის შეკრული. და ისინი მხოლოდ ივანიშვილის გადასაფარავად გააქტიურდნენ. ამ ინფორნაციას პარტიაში ხელისუფლების მიერ მოგონილ ჭორად მიიჩნევენ.

ეროსი კიწმარიშვილი ჭორს უწოდებს ცნობას პარტიიდან ხალხის მასობრივი წასვლის შესახებაც.

– ძალიან ბევრი ადამიანი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საჯაროდ გამოაცხადა, რომ პარტიას ტოვებს, დღეს ამ დარბაზში იმყოფებოდა. აქ ძირითადად ვგულისხმობ ათი დღის წინ გავრცელებულ ცნობას, რომლის თანახმადაც, თბილისის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პარტიები დატოვეს, ეს ხალხი დღეს აქ არის. ჩვენ პარტიასთან მიმართებაში ამ საკითხზე სპეკულირება ბევრია, მაგრამ რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარია. ისინიც კი, ვინც საჯაროდ აცხადებდნენ ერთ რამეს, გადაწყვეტილებას ცვლიან, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, დღეისათვის „ქართული პარტია“ საქართველოში ყველაზე სტრუქტურიზებული პოლიტიკური გაერთიანებაა.

– მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს ეხება საქართველოს ყველა რეგიონს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ოფისი გვაქვს მაგალითად ჯუთაში ან რომელიმე სხვა ადგილას, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ „ქართული პარტია“ ყველაზე სტრუქტურიზებული ოპოზიციური ძალაა, – განმარტა მან.

ცნობისათვის,. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქართული პარტია“ სოზარ სუბარის სოლიდარობის ნიშნად ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციების ლიდერებმა დატოვეს, თუმცა კიწმარიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

გარდა ამისა, „მედიანიუსს“ პარტიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ლია კამლაძემ განუცხადა, რომ პარტიაში დაბრუნდა ლია ოქრუაშვილი. ამ უკანსკნელემა პარტიის რიგების დატოვების შესახებ განცხადება რამდენიმე თვის წინ გააკეთა.

პარტიას როგორც სჩანს წინ დიდი გეგმები აქვს. ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, „ქართული პარტია“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, თუმცა არა დამოუკიდებლად, არამედ მძლავრი ოპოზიციური კოალიციის სახით.

როგორც „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პარტიის ყრილობის შემდეგ განაცხადა, მისმა პოლიტიკურმა ძალამ მოძრაობასთან „ერთიანი საქართველოსთვის“ გაერთიანებით სხვა ოპოზიციურ სუბიექტებს უჩვენა, რომ ხელისუფლებასთან ბრძოლას აზრი მხოლოდ კოალიციურ რეჟიმში აქვს.

მისი თქმით, „ქართული პარტია“ დღეიდან მძლავრი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებას იწყებს, რომლის პოტენციური პარტნიორი ყველა ის ოპოზიციური სუბიქტია, ვისაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის სურვილი აქვთ დეკლარირებული და ამისათვის გარკვეულ ქმედებებსაც ახორციელებს.

– ჩვენ მივდივართ არჩევნებზე. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს საზოგადოების შეკვეთა არის არჩევნები, ოღონდ არჩევნებზე მივდივართ არა როგორც დამოუკიდებელი ერთი ძალა, არამედ პარტია, რომელიც იქნება გამაერთიანებელი ძალიან ბევრი მოთამაშისა. პლუს, შეეცდება საბოლოო დიდი ოპოზიციური კოალიციის ჩამოყალიბებას, მაშინაც არსებობდა დიდი მოლოდინი რამდენიმე ძალის მიმართ. პირველ რიგში, ეს იყო სახალხო კრება, „ქართული პარტია“ და ფორუმი. საბოლოო ჯამში წარმატება იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ძალები ერთ წერტილში მისვლას მოახერხებდნენ. ანალოგიური ვითარებაა დღესაც. „ქართულ პარტიას“ აქვს პრეტენზია იმისა, რომ მისი იდეა დანარჩენი ოპო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლსაც გადაიტანენ

თეა მარხვაიძე

შალვა ნათელაშვილისა არ იყოს, ჩვენს ხელისუფლებას გამჩენი არ ასვენებს და ათას რამეს არის მოდებული. ამ ბოლო ხანებში ძეგლების გადატანა დაამხეცეს და არის ერთი სირბილი.

ყველაფერი, დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანით დაიწყო. მას შემდეგ საქართველოში რეგიონი არ დარჩენილა, სადაც ძეგლები არ გადაუადგილებიათ.

ამ დღეებში გავრცელდა ცნობა, რომ ძეგლის გადატანას ყაზბეგიდანაც აპირებენ. საუბარია ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლზე. რომელიც სტეგფანწმინდის ცენტრში მდებარეობს. როგორც ამბობენ, ძეგლის ადგილზე საზკვების ობიექტის გახსნას აპირებენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილზე სადაც ძეგლი დგას ტურისტები იყრიან ხოლმე თავს გასაკვირი არაფერია. ჩვენი ხელისუფლება კი ტურისტების მოსახიბლად ყველაფერს აკეთებს.

მათი აზრით ალექსნდრე ყაზბეგი ტურისტებს ვერ მოხიბლავს. ჰოდა ურჩევნიათ ძეგლის ადგილზე რამე საინტერესო „ზავედენიე“ წამოჭიმონ. სავარაუდოდ ალბათ სვეცკი სახინკლეს ააშენებენ, ჰა-ჰა სახაბიზგინეს. სანაყინე და საშაურმე აქ გამორიცხულია. თუ ტურისტებმა ასეთი „ზავედენიეს“ გახსნით შიმშილობის აქცია არ დაიწყეს.

არც ის არის გამორიცხული, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის ადგილზე

სულაც სხვა ძეგლი დადგან. ისე სადაც აღმაშენებლის ძეგლის ადგილზე გიგანტური ველოსიპედი დადგეს, რა გასაკვირია ყაზბეგშიც მოიფიქრონ რაიმე ორიგინალური.

მგონი ურიგო არ იქნებოდა გიგანტური ხინკლისა და წრიაპების ძეგლის დადგმა. ბათუმში კვერცხების და შლოპანცის ძეგლი ხო დადგეს. შლოპანცი ზღვასთან ასოცირდება. ყაზბეგი კი მთაა და მთაში წრიაპებია საჭირო. ხინკალი კი ხევის სავიზიტო ბარათია.

იდეები ჩვენს ხელისუფლებას არ გამოელევა და თავად უკეთ მოიფიქრებენ რამეს. დაუზუსტებელი ცნობით, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლისთვის ახალი ადგილი უკვე შერჩეული აქვთ.

მას, სავარაუდოდ, მხარეთ-



მცოდნეობის მუზეუმის ეზოში გადაიტანენ. ეს მუზეუმიც ყაზბეგში მდებარეობს. და სულაც ყაზბეგის სახლშია განთავსებული.

ინფორმაციას ძეგლის შესაძლო გადატანასთან დაკავშირებით ოფიციალურად არ ადასტურებენ. შინაურულ საუბარში კი ამბობენ, რომ რაღაცა გეგმები არსებობს.

ასეთი გეგმების სისრულეში მოყვანა ხელისუფლებას კარგად ეხერხება. და თუ მართლაც ჩაიფიქრეს, გადაიტანენ კიდევაც.

ძეგლების გადატანას რაც შეეხება ერთი ძველი ამბავი უნდა მოგიყვეთ, ოღონდ ლენინის ძეგლზე. ისევე როგორც მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ლენინის ძეგლის მაგვარი ყაზბეგშიც იდგა. ერთხელაც ადგილობრივები შექეიფიანდნენ და ლენინის ძეგლის მაგვარი რამდენიმე კილომეტრით გადაიტანეს. სადღაც სამხედრო გზის სიახლოვეს დადგეს.

მეორე დღეს ყველამ მოიკითხა ლენინი. შეიქმნა განგაში და როგორც იქნა იპოვეს. რაიკომის მდივანმა საგანგებო თათბირი გამართა. სადაც ერთადერთი საკითხი განიხილებოდა; როგორ გადაადგილდა ლენინი.

– ლენინი მშრომელი კაცი იყო და ეტყობა ყიზლარისკენ მიმავალ მეცხვარეებს გაჰყვაო. – „დაამშვიდა“ ერთმა მოხევემ რაიკომის მდივანი.

ასე რომ დაველოდოთ და ვნახოთ საით გააგზავნიან ქართველ მწერალს.

ისე კიდევ კარგი მთების გადატანა არ შეიძლება, თორემ ვნახავდით მთების აქეთ-იქეთ პროწიალს. ქართუ,ł ,წვერვალებისთვის ობამსას და კაჩიბსკის სახელების დარქმევა ხომ მოიფიქრეს. მერე მთებს გაუგზავნიდნენ საჩუქრად.

მთებს ჯერ ვერაფერს უხერხებენ, აი მდინარეებს კი ცუდად აქვთ საქმე. რამდენიმე წელიწადში დარიალის ხეობაში თერგი აღარ ჩაივლის. იქ გიგანტურ ჰესს აშენებენ. და ჰესამდე თერრგი დარიალის გვერდის ავლით, სპეციალურად აშენებული გვირაბით მივა.

და ისევ ძეგლებს მივუბრუნდეთ, საქმეს ისეთი პირი უჩანს რომ ეს ხელისუფლება კიდევ ბევრ ძეგლს გადაიტანს. მათ შორის ვარდების რევოლუციის შემდეგ აღმართულებსაც. და რაკი იციან თავისი ცვალებადი გუნების ამბავი თავიდანვე გაუკეთონ ბორბლები ახალ ძეგლებს. რათა კარგად გავაგორ-გამოვაგოროთ.

## სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩრდილოეთ დაკოტის შტატის დელეგაციას უმასპინძლა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აშშ-ს ჩრდილოეთ

დაკოტის შტატის სოფლის მეურნეობის კომისარი ეწვია.

შეხვედრაზე მინისტრმა ზაზა გოროზიამ და დოუ გორინგმა სოფლის მეურნეობის სფეროში მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2012 წლისთვის დაგეგმილი პროექტების განხორციელებისთვის ჩრდილოეთ დაკოტის გამოცდილებას გაიზიარებს.

– ჩვენ ვისაუბრეთ ურთიერთთანამშრომლობაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომლებიც დაინერგება საქართველოში და ჩვენი პროდუქციის მოხვედრაზე ჩრდილოეთ დაკოტაში. ფაქტობრივად, თითქმის ყველა საკითხზე მიღწეული გვაქვს შეთანხმება. ჩამოვლენ მათი ექსპერტები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, – განაცხადა მინისტრმა.

**მედიანიუსი**

## რამდენიმე სამხედრო წოდების მისაღებად საჭირო ვადები მცირდება

რამდენიმე სამხედრო წოდების მისანიჭებლად დადგენილი სამხედრო სამსახურის გავლის მინიმალური ვადები იცვლება. შესაბამისი ცვლილება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში შედის.

კანონის მოქმედი რედაქციით, ლეიტენანტის წოდებიდან უფროს ლეიტენანტამდე სამსახურის გავლის მინიმალური ვადა 3 წელია, კანონპროექტით კი ეს ვადა 2 წლამდე მცირდება.

ცვლილება ეხება კაპიტნიდან მაიორამდე სამხედრო სამსახურის გავლის ვადასაც და ის 4 წლიდან 3 წლამდე მცირდება, ხოლო მაიორიდან ვიცე-პოლკოვნიკამდე პირს სამხედრო სამსახურის გავლა 5 წლის ნაცვლად, 4 წელი მოუწევს.

კანონპროექტის ავტორი თავდაცვის სამინისტროა, ინიციატორი კი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.

საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზეზად პროექტის განმარტებით ბარათში, საქართველოს სამხედრო-წოდებრივი სისტემის ნატო-ს წევრ ქვეყნებში არსებულთან მისადაგებაა დასახელებული.

**ინტერპრესნიუსი**

## „1000 ჯიხურის“ ფარგლებში მორიგი აუქციონები 28 დეკემბერსა და 4 იანვარს გაიმართება

პროექტ „1000 ჯიხურის“ ფარგლებში მორიგი აუქციონები 28 დეკემბერს და 4 იანვარს გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, ამ დროისთვის პრესის ჯიხურებთან ერთად დედაქალაქში აღებულია ყველა ის ჯიხური, რომელიც უნებართვოდ იდგა ან ნებართვას ვადა ჰქონდა გასული. ერიაში აცხადებენ, რომ პრესის გამავრცელებლებს საშუალება აქვთ,მონაწილეობა მიიღონ მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში. აქვე, მერია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ გამონაკლისს ვერ დაუშვებს და ინტერნეტაუქციონის გარეშე ჯიხურის ჩადგმის ნებართვას ვერავის მისცემს.

„ეს გამოიწვევს იმ ადამიანების უფლებების დარღვევას, რომლებმაც აუქციონში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. ამავე მიზეზის გამო მერია ვერ დაუშვებს გამონაკლისს და უნებართვო ჯიხურებს ვერ დატოვებს ქალაქში, რადგან ამ შემთხვევაშიც ზარალდებიან ის მეწარმეები, რომლებმაც აუქციონში გაიმარჯვეს და იჯარის გადასახადს იხდიან. აუქციონში მონაწილეებისთვის არ არსებობს შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, მსურველებს შეუძლიათ პრესასთან ერთად ჯიხურში განათავსონ სხვადასხვა სახის პროდუქცია, როგორც ეს აქამდეც ჰქონდათ. ამით ისინი ჩვეულებრივ კონკურენტუნარიანები ხდებიან. როდესაც საუბარია, რომ ეს ბიზნესი ვერ გაუძლებს კონკურენციას, გაურკვეველია, რადგან პრესის ჯიხურებში აქამდეც იყიდებოდა თამბაქო, გამაგრილებელი სასმელები თუ სხვა სახის პროდუქცია. ასევე, ამ პირებს შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულებები გამარჯვებულ კომპანიებთან“, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

როგორც თბილისის მერიაში განმარტავენ, მათი მიზანია, ყველა დაინტერესებული პირი თანაბარ პირობებში იყოს და ამიტომაც შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი ინტერნეტაუქციონის სახით. მერიის განცხადების თანახმად, შპს „ელვასერვისს“ უკვე 17 ლოტზე აქვს გამარჯვება მოპოვებული. მერიის ცნობით, დღემდე ჩატარებულია ცხრა აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 450 ლოტი. 136 ლოტზე გამარჯვებული გამოვლინდა, 314-ზე კი – განაცხადი არ შესულა.

„აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმ ადამიანების პრეტენზია, ვინც აცხადებს, რომ კონკურენციას ვერ უძლებენ. შეგახსენებთ, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს შევიდეს ვებ-გვერდზე იაუცტიონ.გე, დარეგისტრირდეს, აირჩიოს მისთვის სასურველი ადგილი, გადაიხადოს 500 ლარი ბეს სახით და ჩაერთოს ელექტრონულ აუქციონში. იჯარის წლიური საწყისი ფასი 1000 ლარია. ყველა ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს, ვისაც ნებართვის საფუძველზე უდგას ჯიხური, სანებართვო ვადის დასრულებამდე ჯიხურის აღება არ ევალება“, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის მერიამ ახალი პროექტი „1000 ჯიხური“ დაიწყო. პროექტის მიხედვით, ქალაქში არსებული ძველი ჯიხურების ნაცვლად, თბილისში უახლოეს მომავალში ახალი, თანამედროვე დიზაინის ჯიხურები დაიდგმება. აუქციონი უმეტეს შემთხვევაში იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე იდგა პრესის გავრცელების ჯიხურები. მათი უმეტესობა უკვე აღებულია.

**ინტერპრესნიუსი**

# გოგა ხაინდრავა: „ივანიშვილი ქართული პროექტია“

### „ნაციონალებს ქვეყნის სათავეში ყოფნის მორალური უფლება არა აქვთ!“

შორენა კოწოწაშვილი


გოგა ხაინდრავა

**ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი აღარც რუსეთს სჭირდება და აღარც ამერიკას. შესაბამისად, ის ყველაფერზეა წამსვლელი.**

***– ბატონო გოგა, რამდენად მძიმე პოლიტიკურ რეალობაში გამოჩნდა ივანიშვილი ოპოზიციურ ფლანგზე და შეძლებს თავდაყირა დაატრიალოს პოლიტიკური პროცესი თუნდაც იანვრის ბოლოდან?***

– მე ვფიქრობ, უმძიმეს რეალობაში გამოჩნდა, კატასტროფულ რეალობაში. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ პოლიტიზებული საზოგადოების უმეტესობა საკუთარ თავს ეძებს საქართველოში და არა საქართველოს საკუთარ თავში. პირადი ინტერესი ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოებრივი. ამიტომ ვართ ასეთ დღეში – დაბეჩავებული აბსოლუტურად უგუნური, უმწიფარი და უსინდისო ძალის მიერ. განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილი არა როგორც კონკრეტული პიროვნება, არამედ როგორც კონკრეტული ფენომენი, რომელიც გამოჩნდა ქართულ სინამდვილეში. არანაირი იმედი, ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოება, წლების მანძილზე ძალადაკარგული ოპოზიცია. მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ამერიკის ადმინისტრაციის და რუსეთის ძალისხმევაა, რომ საქართველოს სათავეში დარჩენილიყო სააკაშვილი. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ეს თანხვედრა იყო. ამერიკასაც სჭირდებოდა სააკაშვილი და რუსეთსაც. და რატომ: პირველი – ამერიკელებს სჭირდებოდათ არგუმენტი რუსეთთან საჭიდაოდ, სხვადასხვა მსოფლიო დონის პოლიტიურ საკითხებზე – ერაყი, გავლენები სხვადასხვა სფეროებზე. ამიტომ სჭირდებოდათ სააკაშვილისნაირი ფინია, რომელიც გაუთავებელი ყეფის რეჟიმში იქნება. ანუ ამერიკელებისთვის რუსეთთან საბრძოლველად ძირითადი იარაღი იყო სააკაშვილი; მეორე – რუსეთს სჭირდებოდა საქართველოს ტერიტორია და აქ საკუთარი მიზნების განხორციელება, რომელიც სააკაშვილმა განახორციელებინა. ასეთი მასშტაბური სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთს დიდი ხანია არ ჰყოლია. ასევე მთელი პოლიტიკური და ფინანსური ბერკეტები ამ ძალიან მნიშვნელოვან რეგიონში. ამ ორი სუპერ სახელმწიფოს დაპირისპირება სააკაშვილმა საკუთარი კეთილდღეობის და სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენა. და მესამე – რა მიიღო საქართველომ: ნგრევა, სისხლი, განადგურებული ცხინვალის რეგიონი და კოდორი; საქართველომ მიიღო მსოფლიოში დამცინავი დამოკიდებულება, როდესაც ყველას ესმის, რომ საქართველოს სათავეში არის ყოველგვარ მორალს, ზნეობას მოკლებული რეაქტიული გიჟი და ქართველი საზოგადოება ამას ეგუება.

***– ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ ივანიშვილიც ამერიკული პროექტია. სააკაშვილს „შავი საქმე“ აკეთებინეს და ახლა ივანიშვილი მოჰყავთ ოღონდ „თეთრი ხელთათმანებითო“...***

– ერთი ნაწილი ამბობს, რომ ამერიკული პროექტია, მეორე – რუსულიო, სინამდვილეში წმინდა წყლის ქართული პროექტია. სახარებაში წერია, ხე ნაყოფით შეიცნობისო. როდესაც პროექტზე ლაპარაკობენ, პროექტი ერთ წამში ხომ არ წყდება. ეს არის პროცესი. მაშინ გამოდის, მთელი ამ წლების განმავლობაში ყველაფერს, რასაც ივანიშვილი აკეთებდა, აკეთებდა ან ამერიკული პროექტის განსახორციელებლად, ან – რუსული პროექტის. 20 წელი ემზადებოდა და რისთვის? მინდა გითხრათ, დიდი უმრავლესობა თუ პრაქტიკულად მთელი პოლიტიკური სპექტრი არა ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს იმისთვის, რომ განახორციელოს ის, რაც ივანიშვილს უკვე განხორციელებული აქვს. ანუ საკუთარი კეთილდღეობის, საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ეს დაკმაყოფილება, როგორც წესი, მაინც ფინანსურ მხარეს და ცხოვრების დონეს ეხება. ყველა სხვა შემთხვევაში, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ხალხმა ამდენი ენერგია გაილოს მხოლოდ სიმბოლოების პატივისცემით. ამიტომ ბუნებრივია, საწყისი წერტილი სხვადასხვაა. ესენი ყველანი მიისწრაფვიან იმისკენ, საიდანაც ივანიშვილი ქვემოთ წამოვიდა. რაში სჭირდებოდა ივანიშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა, თუ ეს ანგარებაა და არის ის, რაზეც მისი ოპონენტები ლაპარაკობენ? მე ვფიქრობ, რომ იმ გამოცდილებით, რაც მან ნახა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში; იმ გამოცდილებით, რაც მან ნახა პატარკაციშვილთან მიმართებაში; რა მეთოდები იყო გამოყენებული და როგორ იყო მთელი საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატი გამოყენებული იმისათვის, რომ ბადრი პატარკაციშვილი მოესპოთ და მოსპეს კიდეც. ამ ყველაფრის შემყურე, რატომ დადო სასწორზე საკუთარი სიცოცხლე და თავისი ოჯახის კეთილდღეობა? მე ამ კითხვებით ვპასუხობ ჩემს თავს. სხვა არგუმენტები არ გამაჩნია. მითხარით, რისთვის სჭირდებოდა ივანიშვილს ამ უბედურებაში თავის ჩაყოფა. რაღაც ხომ ამოძრავებს ადამიანს ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმსას. რისთვის გააკეთა ეს, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს?!

***– უკმაყოფილებას იწვევს ივანიშვილის მხრიდან ხელისუფლების წარმომადგენლების დაფინანსების საკითხი. საზოგადოების ნაწილი სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ ფინანსური დახმარებით ივანიშვილი რეჟიმს აძლიერებდა.***

– ეს ხომ მხოლოდ საბაბია ივანიშვილზე შესატევად და საკუთარი ამპარტავნების დასაკმაყოფილებლად. ივანიშვილი აფინანსებდა ამ ქვეყანას. ეხმარებოდა სამართალდამცავებს. მე რამდენიც მომხვდა და რამდენი პრეტენზიაც მე მაქვს სამართალდამცველი ორგანოებისადმი, ასეთი ცოტა მგონია ამ ქვეყანაზე. იმ ადამიანების გარდა, ვინც დღეს იმ ჯურღმულებში ეწამებიან – პოლიტპატიმრები: მერაბ რატიშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, გიორგი ალხაზიშვილი, შალვა გოგინაშვილი და სხვ. მაგრამ პოლიციის სტრუქტურები სახელმწიფოს სჭირდება თუ არა? სჭირდება. მათ გაძლიერება სჭირდება თუ არა? სჭირდება. მათი რეფორმა იყო საჭირო? იყო. როცა რაიმეს შექმნაში მონაწილეობ, ჯერ შედეგი არ იცი. ვერავინ წარმოიდგენდა და ვერც მე, რომ პროცესი, რომელიც 2003 წელს დაიწყო საქართველოში და რომლის იმედი მთელ საქართველოს და მთელ მსოფლიოს ჰქონდა, ასეთ შავ-ბნელ ძალად ჩამოყალიბდებოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში იქნებოდნენ მზად იმისთვის, რომ სისხლის მაგივრად, შარდი გადაესხათ მაგათთვის და საკუთარ დებს და ძმებს გასწორებოდნენ ისეთი სისასტიკით, რა სისასტიკითაც ისინი უსწორდებოდნენ ქართველ ხალხს. ყველაზე მეტად ჩვენ იმით ვამაყობდით, რომ ქართველები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან სამკვდრო სასიცოცხლოდ და სულ ვიძახდით, ჩვენ ერთმანეთს არ გავწირავთ. მაგრამ პირიქით აღმოჩნდა. ეს არაერთხელ დადასტურდა. პირველად – 1991-92 წლებში, როდესაც სამოქალაქო ომი ავტეხეთ და გადავბუგეთ ეს ქვეყანა; მეორედ ახლა – სააკაშვილის დროს, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს არის კერპთაყვანისმცემლების ქვეყანა. ეს არის ქვეყანა, სადაც კერპის გულისთვის კაცმა შეძლება დედა მოხარშოს. საკუთარი ბიძაშვილი არ დაინდოს და სისხლში ჩაახშოს.

***– ამ მძიმე რეალობაში, რაზეა წამსვლელი სააკაშვილი და მისი გუნდი? ნესტან კირთაძის აზრით, სააკაშვილს ჯერ თავისი მასტერკლასი არ უჩვენებია.***

– არა. სააკაშვილს აღარანაირი მასტერკლასი აღარ აქვს. ჯერ ერთი, მასტერი არ არის კლასი რომ აჩვენოს. სააკაშვილი არის ჩამოყალიბებული შიზოფრენიკი, რომელიც მთლიანად დგას აშშ-ის ბნელი ძალების დახმარებაზე. ვისაც საკუთარი ინტერესების განხორციელება სჭირდება ამ რეგიონში. ამერიკას ძალიან უჭირს, ირანთან მოსალოდნელია ძალიან სერიოზული გართულება. საქართველო ამისთვის მშვენიერი პლაცდარმია. საქართველო არის მშვენიერი პლაცდარმი ავღანეთისთვის, იმ რეგიონისთვის, სადაც ამერიკას უაღრესად სჭირდება დახმარება და ფეხის დადგმა. საქართველო ამერიკისთვის არის მხოლოდ ინტერესი. არანაირი მეგობრობა, სტრატეგიული პარტნიორობა და არანაირი პატივისცემა ქართველი საზოგადოების, მე აქ არ მინახია. მე ვხედდავ ცინიზმს, სიცრუეს, ულირს დამოკიდებულებას ჩვენი ხალხისადმი ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან. ჩვენ ვართ ხორცი და გვადევს კონკრეტული ფასი, რომელსაც დახლიდარ ბენდუქიძეს და სააკაშვილს უხდიან ყველა ჩვენგანის სიცოცხლეში, ყველა ჩენგანის სისხლში და ხორცში. ისინი ამას ძალიან ნაყოფიერად ყიდიან მსოფლიო პოლიტიკურ ბაზარზე.

***– პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი შეირაღებულ დაპირისპირებზეც წავა იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ითქვა, დაძაბულობის კერები სამეგრელოში შეიქმნება და ამაზე ახალაიები მუშაობენო.***

– მე სამეგრელოდან ვარ და ეს ინფორმაციები ჩემთვის ყველაზე დიდი ტრაგედიაა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ გამსახურდიას, ამ კოლხ კაცს სამეგრელოში სააკაშვილით ჩაანაცვლებდნენ. ეს არის ყველაზე დიდი სირცხვილი, რომელიც ამ ქვეყანას შეიძლება დაემართოს. ის, რაც სამეგრელოში ხდება, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, მიუღებელი და ეგ მიხეთქავს გულს შუაში. ეს კოლხი ხალხი რამ გადარია, რამ დაუბნელა თვალები და ყურები, ამ სეროჟას მიმდევრები როგორ გახდნენ? ის, რომ სააკაშვილის შიდა მხარდაჭერა დაფუძნებულია რეგიონებზე, რომელშიც ნაციონალური უმცირესობები ცხოვრობენ, ეს გასაგებია. ისინი ყოველთვის ხელისუფლების წარმომადგენლებს აძლევდნენ ხმას. იმიტომ, რომ საქართველოში არასოდეს არ ყოფილა დემოკრატიული მმართველობა. საქართველო ყოველთვის იყო საბჭოთა აზროვნების და დღემდე ასეა. ასეთი მსგავსება ბოლშევიკებთან, თანაც ადრინდელ ბოლშევიკებთან. როგორიც სააკაშვილს აქვს, ასეთი მსგავსება შევარდნაძესაც არ ჰქონია. მხოლოდ ახალ ბოლშევიკებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ შეიძლება მდინარეების შებრუნება. დაახლოებით იგივეა – სრული სიგიჟე და იდიოტიზმი, კოლხეთის ჭაობის ამოშრობა და იქ ლაზიკას აშენება. ეს ხომ ყველასთვის გასაგებია. ამას ხომ დიდი პოლიტიკოსობა არ სჭირდება რომ გავიგოთ, რომ ეს არის შიზოფრენიკის ნაბოდვრი. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ამ შიზოფრენიკის ნაბოდვარს ძალიან სერიოზულად საზოგადოებას სთავაზობენ ის ადამიანები, ვინც მის მის გარშემო არიან შემოკრებილები. იქნება ეს მთვარობა, პარლამენტი, ჩინოვნიკების დიდი აპარატი, თუ ის აბსოლუტურად სინდისგარეცხილი ადამიანები, ვისაც რატომლაც საქართველოში თქვენ ხშირად კოლეგებს უწოდებთ და ვინც ზონდერ ჯგუფებს წარმოადგენენ და შხამავენ ქართველ საზოგადოებას. ეს იქნება „რუსთავი 2“, „იმედი“ თუ პირველი არხი და იქ მომუშავე ადამიანები. ამას წინათ პირველ არხზე კორესპონდენტი გამოვიდა და თქვა, კახა კალაძე ჩამოვიდა საქართველოში რუს ფეხბურთელ შევჩენკოსთან ერთადო. როგორი ნამუსგარეცხილი ადამიანი უნდა იყო და როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ მსგავს ტყუილს ემსახურებოდე. იმ ქალბატონმა მშვენივრად იცოდა, რომ შევჩენკო არის უკრაინელი. რომ არც ერთი დღე არ უცხოვრია და არ უმუშავია რუსებისთვის. შევჩენკო კიევში დაიბადა, კიევის დინამოში თანმაშობდა, მერე გადავიდა მილანში და მთელი მსოფლიო პატივს სცემს. შენ მხოლოდ იმის გულისთვის, რომ 30 ვერცხლი სახლში მიიტანო და შვილს სიცოცხლე მოუწამლო ამ 30 ვერცხლით, გამოდიხარ და სახალხოდ ასეთ სიცრუეს იძახი. ეს სიცრუე კი არ არის მხოლოდ, ეს არის შხამი. ლევან ბერძენიშვილმა სწორი თქვა, ტარას შევჩენკოც რუსი მწერალია უნივერსიტეტის წინ ამხელა ძეგლი რომ წამოჭიმა სააკაშვილმა?! ამას განზრახ რომ აკეთებ, პრესაში განზრახ და შეგნებულად რომ მიდის ალვირასხნილი კამპანია ბიძინა ივანიშვილის წინაალმდეგ, ამ შემთხვევაში ჩვენ იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ყველა ვსხედვართ. ერთადერთი ხსნა ამ ქვეყნისთვის, რომ მოიშოროს ეს ჭირი, რომელსაც სააკაშვილი ჰქვია, დღეს ბიძინა ივანიშვილია. არა პიროვნება, არამედ ის გარემოება, ის ვითარება, რომელიც მისმა გამოჩენამ ქვეყანაში შეძლო და ყველა ჩვენგანს, ყველა ლეიბორისტს, ყველა „ქტისტიან-დემოკრატს“ მისცა ამის შანსი და ყველა მემარჯვენის ოჯახს. ყველას ოჯახს მისცა შანსი, რომ ეს ჭირი მოვიშოროთ. აქ პატარა საკუთარი ამბიციების, პატარა კაცობის გამო მიდის დაპირისპირება და იმ ტოტის ხერხვა, რომელზეც ყველანი ვსხედვართ.

# გუგული მაღრაძე: „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა დაგვეხმაროს“

ნათია ხურცილავა

**„ქალთა პარტიის“ ხელმძღვანელი გუგული მაღრაძე ივანიშვილის ირგვლივ ოპოზიციური დიდი ერთობის შესახებ საუბრობს.**

***– ქალბატონო გუგული, არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა, ორო პოლუსი გამოიკვეთა სახელისუფლო და ბიძინა ივანიშვილის ერთობა. საპარლამენტო არჩევნებზე როგორ შეიძლება ხმები გადანაწილდეს?***

– დიახ, ორი პოლუსი გამოიკვეთა, მაგრამ შეიძლება ნაციონალების მხრიდან კიდევ ერთი სარეზერვო ვარიანტი შეიქმნას ქრისტიან-დემოკრატებისა და სხვა დანარჩენი სატელიტური პარტიების. რაც შეეხება ოპოზიციურ ფლანგს, ვიმედოვნებ, რომ მოხერხდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ძალის ქოლგის ქვეშ ნამდვილი ოპოზიციური ძალების გაერთიანება რაღაც ფორმით. მაგალითად, როგორც ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი, რომლებიც როგორც წარმომადგენლები, ისე შევიდნენ ამ ქოლგის ქვეშ და არა როგორც მთელი პარტიული შემადგენლობით. თუმცა ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია რომ ოპოზიციის ძალისხმევა ერთად იყოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველი არ იყოს ყოყმანში. მართალია ამ ორი მთავარი ძალის, ნაციონალური მოძრაობისა და ივანიშვილის ირგვლივ გადანაწილდება ძირითადი ხმები, მაგრამ მაინც არ არის სასურველი, რომ ოპოზიციური ამომრჩევლის ხმები ნაწილობრივ მაინც დაიქსაქსოს. ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს ეროვნულ ფორუმს, იმის გამო, რომ თუ ივანიშვილის ქოლგის ქვეშ არ აღმოჩნდება ფორუმი, მაშინ ფორუმის მომხრეები იძულებული იქნებიან, რომ თავიანთი პოლიტიკა აწარმოონ.

***– რას გულისხმობთ?***

– არჩევნების წინ აკრიტიკონ ივანუშვილი და ნაციონალური მოძრაობა. ეს არის რეალობა, რომ თავისი პოზიცია ამომრჩეველში პოლიტიკურმა პარტიამ წარმოაჩინოს. ეს უფრო ხელსაყრელი იქნება ნაციონალებისთვის, ვიდრე ივანიშვილისთვის. ნაციონალური მოძრაობა უკვე იმდენჯერ არის გაკრიტიკებული და იმდენია ნათქვამი, რომ ახალი რა უნდა თქვა. ივანიშვილთან დაკავშირებით კი შეიძლება ივანიშვილს არავინ არ შეეხოს, მაგრამ ივანიშვილთან მყოფი პოლიტიკური პარტიების შესახებ იყოს კრიტიკა, ან გეგმისა და სტრატეგიის შესახებ. ოპოზიციური ძალა თუ იძულებული იქნება ცალკე გამოვიდეს, რომც არ მიიღოს 5 პროცენტი თუ 10 (პოლიტიკურ მოღვაწეობას ხომ არ შეწყვეტს) მაინც გარკვეულ ეჭვს, დაბნულობას გამოიწვევს. ის, რაც არის მთავარი მიზანი ივანიშვილის და მის ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური ძალებისა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდნენ პარლამენტში, ამას შეიძლება რაღაც საშიშროება დაემუქროს. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან გონივრული იქნება თუ ყველა ოპოზიციური ძალა, რომელსაც მოსახლეობა აღიქვამს, როგორც ოპოზიციურ ძალად (ეს არ ეშლება ხალხს და არც ივანიშვილს არ შეშლია, როდესაც დაასახელა ის პარტიები, რომლებთანაც არ ითანამშრომლებს) გაერთიანდეს. ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები წარმატებით წავა და ქართველი ამომრჩევლისთვის ნათლად იქნება წარმოდგენილი, რომ ერთ მხარეს არის ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტური პარტიები და მეორე მხარეს არის ოპოზიციური ძალა ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ამ შემთხვევაში ამიმრჩევლის წინაშე დიდი დილემა არ ექნება. გარდა ამისა, თვითონ საარჩევნო პროცესსაც, არჩევნებისთვის მზადება, არჩევნების შედეგების გაკონტროლება და სხვა



გუგული მაღრაძე

თუ ერთიანი იქნება ოპოზიცია, მაშინ გაცილებით კარგი შედეგი ექნება. ხელისუფლებისთვის ყველაზე საშიში არის ოპოზიციისა და ხალხის ერთანობა. დაქსაქსული ოპოზიცია ყოველთვის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, რაღაც სარგებელი ნახოს ოპოზიციის დაქსაქსულობით. თუ პროცესები ასე წავა, ეს იქნება სწორი და გამართლებული.

***– გამოკითხვების შედეგების მიხედვით ექსპერტები აფასებდნენ, რომ ივანიშვილმა ოპოზიციას ელექტორატი წაართვა. ოპოზიციაზე იმედგაცრუებული, არჩევნებზე გულგატეხილი ამომრჩეველი სწორედ მისი მხარდამჭერი გახდა პოტენციურად.***

– არა, არ მიმაჩნია ასე იყოს. ივანიშვილს ჯერჯერობით მიაქვს იმ ადამიანების ხმები, რომელთაც არავითარი იმედი არ ჰქონდათ. ნაციონალები არ მოსწონდათ, ეს გასაგებია, მაგრამ აღარც ოპოზიცია მოსწონდათ. ეს ის ხალხია, რომლებიც ახლობლებში, სახლში ამბობდნენ თავიანთ სათქმელს, რომ რა დღეში არიან და არავინ არ არის, ვინც ამას შეცვლის. იმედი არ ჰქონდათ, რომ არჩევნებში წასვლას რამე აზრი ჰქონდა. ეს არის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ადგილობრივ არჩევნებში, ძალიან ბევრი ჩემი ნაცნობი, რომელიც ოპოზიციურად იყო განწყობილი არჩევნებზე არ წავიდა. როდესაც ოპოზიცია ერთად არის, ხალხს ყოველთვის მეტი იმედი აქვს, რომ რეალურად რაღაც შეიცვლება. უფრო მოტივირებულია და უფრო ხალისით მიდის არჩევნებზე, როგორც მაგალითად 2008 წლის 5 იანვარს იყო. მაშინ ერთიანი იყო ოპოზიცია და არჩევნბზე ძალიან ბევრი ხალხი მივიდა. ერთადერთი დღე იყო, როდესაც რიგში ვიდექი ხმის მისაცემად. მიუხედავად იმისა, ცუდი ამინდი იყო. ივანიშვილმა ოპოზიციურ სპექტრში ასე ვთქვათ, მოლოდინები გააჩინა. ასევე ვინ როგორ შევა, ზოგს მეტი პრეტენზიები აქვს, ზოგს ნაკლები. ეს პარტიები ერთმანეთთან უფრო მეტ პრეტენზიებს აყენებდნენ, იყო ასეთი საუბრები – როდესაც გავერთიანდებით შენ რამდენი ადგილი გექნება – მე რამდენი?! ახლა ეს პროცესი, ვფიქრობ, შენელდა. იმ გაგებით, რომ მაგალითად, ძიძიგურსა და დავითაშვილს სულ არ მოუთხოვია სამი თუ ოთხი კაცი ჰყავდეთ.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– ამის მოთხოვნის ზურგი უკვე აღარ არის. მთავარია, რომ იმ ოპოზიციურ ერთობაში იყო. შეიძლება რომელიმე ოპოზიციური ძალიდან ორო და სამი იყოს შესული ამ ერთობაში, რადგან უფრო თვალსაჩინო ადამიანები არიან და ისინი უფრო მეტ ხმას მოუტანენ ერთობას. ის მცნები, რომ ივანიშვილმა ხმები ხელისუფლებას კი არ წაართვა, არამედ ოპოზიციას სწორი არ არის. ოპოზიციას, რამდენიმე პარტიას ჰყავს თავისი ერთგული ამომრჩეველი. შეიძლება ითქვას, ტრადიციული ამომრჩეველი. მაგალითად, ფორუმის დაანონსებულ, „ქართულ მარშზე“ მისი დედაქალაქის ამომრჩეველი მივიდა. 5-6 ათასი ადამიანი გამოვიდა, რომელსაც ფეხით სიარული შეეძლო. ერთგული ამომრჩეველი ყველა პარტიას ჰყავს, მაგრამ არის ძალიან დიდი 40-50 პროცენტი მოსახლეობის, ვისაც ნაციონალური მოძრაობა არ უნდა, მაგრამ არჩევნებზე იმიტომ არ მიდიოდნენ, რომ იმედი არ ჰქონდათ. სიმართლე გითხრათ, იმის იმედი, რომ ოპოზიცია დაამარცხებდა ნაციონალურ მოძრაობას, რომ არ გამოჩენილიყო ივანიშვილი, არც მე არ მქონდა და არც სხვებს. ივანიშვილის გამოჩენამდე საუბარი იყო, რამდენად შეიძლებოდა მეტი ხმის წართმევა ნაციონალებისთვის. მით უმეტეს, საარჩევნო რვიანიდან ორი პარტიის მუხანათურად გასვლის შემდეგ, კიდევ უფრო ნაკლები იყო.

***– ახლა რა შანსებია? საარჩევნო გარემო არ არის გაუმჯობესებული, ბევრი წინაღობაა...***

– ცხადია, საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესებულა და ვფიქრობ, ამაზე ძალისხმევა მაინც უნდა იყოს. საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა შევაწუხოთ, ნაციონალებიც და მაქსიმალურად უნდა მოვითხოვოთ. სიების დაზუსტება უნდა მოხდეს, ალტერნატიული სია უნდა გვქონდეს. ეს ისეთი სამუშაოებია, რომელსაც დიდი ორგანიზებულობა სჭირდება. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიცია ერთად უნდა იყოს. ოპოზიციურ პარტიებს აქვთ პარტიული საქმიანობის გამოცდილება, რასაც სხვა ტიპის გამოცდილება სჭირდება. პატივს ვცემ ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს, მაგრამ პარტიული საქმიანობა სხვა გამოცდილებას მოითხოვს. ერთიანი ძალისხმევის დროს გაცილებით უფრო უკეთესი შედეგების მიღწევა შეიძლება.

# ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადავტეხოთ წელში!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***ნიშვილი არ აპირებს თქვენთან თანამშრომლობას...***

– არავითარი მესამე, მეოთხე თუ მეხუთე ცენტრი საჭირო არ არის. უნდა იყოს ერთიანი პროცესი, საერთო-სახალხო წინააღმდეგობის, რომელიც, რა თქმა უნდა, საბოლოოდ უნდა დაგვირგვინდეს თავისუფალი არჩევნებით და ამ არჩევნებში ხალხის გამარჯვებით.

***– როგორ უნდა მივიდეთ თავისუფალ არჩევნებამდე, რა გზით, საპროტესტო აქციებით?***

– თავისუფალ არჩევნებამდე ასე გულხელდაკრეფილნი, დამეთანხმებით, ალბათ, ვერ მივალთ. დღეს რა მდგომარეობაც არის საქართველოში, სააკაშვილი გიჟივით რომ დაქრის ერთი ქალაქიდან მეორეში, ვითომ კლინიკებს და რაღაცებს ხსნის და აცხადებს, მსოფლიოში ყველაზე წინ ვართ ეკონომიკით და ვერავინ შეგვედრებაო, აი, ამ მდგომარეობით ჩვენ ასე წყნარად, მშვიდად, უჩუმრად და მდორედ თუ მივედით არჩევნებამდე, რა თქმა უნდა, ამ არჩევნებს ხელისუფლება მოიგებს.

***– ივანიშვილი მშვიდად, წყნარად გეგმავს არჩევნებამდე მისვლას, აქციებს გამორიცხავს... თვლის, რომ ყველაფერი კარგად იქნება...***

– არა, მე მის ორივე განცხადებას გავეცანი, ჩვენ მივესალმეთ ამ განცხადებებს და, ვფიქრობ, იგი საკმაოდ ჭკვიანი კაცია, კარგად ხვდება, რომ ასეთი რიტმით დღეს ვერავინ მოუგებს ამ ხელისუფლებას არჩევნებს, ვერავინ გამოგლეჯს ძალაუფლებას. რა თქმა უნდა, ჩვენი საერთო ინტერესი უნდა იყოს, იმის მიუხედავად, ვინ ვისი პარტნიორი იქნება, რომ პროცესი აღმავალი ხაზით წავიდეს და ამაში ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ.

***– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პროცესი აღმავალი გზით წავიდეს, რა სახის აქტიურობაზე უნდა იფიქროს ივანიშვილმა და მისმა გუნდმა?***

– ივანიშვილმა რა უნდა გააკეთოს, ეს მას უნდა ჰკითხოთ.

***– თქვენ რა აქტიურობას გულისხმობთ და როგორ აპირებთ ხელშეწყობას?***

– აქტიურობაში შედის ყველაფერი. პოლიტიკური აქტიურობა რაც არის, ეს ცნობილია ისტორიაში დიდი ხანია. დღეს დუღს მთელი ევროპა, არაბული სამყარო, დუღს მოსკოვი, ხომ ასეა? პოლიტიკური აქტიურობაა, დაწყებული თავყრილობებით, კონფერენციებით, ორგანიზაციების დაფუძნებით, მანიფესტაციებით, მიტინგებით, აქციებით თუ ბოლოს რასაც ჰქვია, ის უზარმაზარი მობილიზაცია ძალისა, რასაც მოითხოვს თავისუფალი არჩევნები. აი, ყველაფერი ეს არის პოლიტიკური აქტივობა და, ვისაც არ ესმის, რომ პოლიტიკური აქტივობის გარეშე შეუძლებელია, ავტორიტარულ ხელისუფლებას დაათმობინო ძალაუფლება, ის არის პოლიტიკურად უმეცარი და ბრიყვი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ბრძოლის გარეშე, უდიდესი აქტიურობის გარეშე, ისეთი ტიპის ავტორიტარულ ხელისუფლებას, როგორიც არის სააკაშვილისა, რომელიც პლუს ამას არის პათოლოგიური, ვგულისხმობ ფსიქიკური გაგებით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დაათმობინო ძალაუფლება.

***– „ქართული ოცნების“ პრეზენტაციამ საზოგადოებაში იმ მოლოდინის გაჩენა, რომელიც არსებობდა, შეძლო?***

– მე, როგორც სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი, თავიდან ბოლომდე მივესალმები ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკაში, ასევე „ქართული ოცნების“ დაფუძნებას და მხარს ვუჭერთ და სოლიდარობას ვუცხადებთ მათ, წარმატებებს ვუსურვებთ და გეტყვით, რატომაც – ამ პროცესის კრახი იქნება ყველას კრახი, ქვეყნის კრახიც, ოღონდ რაღაც პერიოდი, საბოლოოდ კი არა. მინდა გითხრათ, რომ „ქართული ოცნების“ დაფუძნება კარგი მოვლენა იყო, თუმცა, მან ვერ ასწია ხელახლა ის მუხტი საზოგადოებაში, რომელიც საჭირო იყო. ივანიშვილის გამოჩენა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო, შემდეგ, დრო რომ გავიდა, ბუნებრივია, შედარებით მიწყნარდა სიტუაცია და ახლა ეს დაფუძნება, რა თქმა უნდა, მის ორგანიზატორებს შეეძლოთ გადაექციათ ისეთ მოვლენად, ისე მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის, რომ ასევე უზარმაზარი მუხტის შემომტანი ყოფილიყო.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოახერხეს?***

– როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა არ მოინდომეს ეს, რაღაც გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მე ვერ შევაფასებ, რატომ და რისთვის. შეიძლება ჯობდა, უფრო სადად ჩატარებულიყო, ვერ გეტყვით, მათი გადასაწყვეტი იყო.

***– ივანიშვილის პოლიტიკურ გემოვნებაზე რას იტყვით?***

– ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ირჩევს პარტნიორებს, ვის აირჩევს, მისი გადასაწყვეტია, ვერავის არჩევანში ვერ ჩავერევი.

***– დაბოლოს, ბოლო გამოკითხვებმაც აჩვენა, რომ ორი კონკურენტული ძალაა – ნაციონალური მოძრაობა და ივანიშვილი. სწორედ მათ შორის იქნება ბრძოლა არჩევნებზე. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?***

– მინდა, ვიყო ოპტიმისტი, ოპტიმისტურად შევხედო სიტუაციას და ვირწმუნო, რომ თითოეული ჩვენგანი გაანძრევს ხელს იმისათვის, რომ არჩევნებამდე ჩვენ ყველა მივიდეთ უზარმაზარი მორალური და პოლიტიკური უპირატესობით და ეს ავტორიტარული ხელისუფლება არჩევნებისათვის წელში იყოს გატეხილი.

## ახალ წლამდე მთავრობის სხდომები კვირაში ორჯერ გაიმართება

საქართველოს მთავრობა ახალ წლამდე მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის – მისი სხდომები კვირაში უკვე ორჯერ გაიმართება.

სხდომებზე მინისტრთა კაბინეტის წევრები საკუთარი უწყების საქმიანობასა და გეგმებზე მოხსენება-პრეზენტაციებს გააკეთებენ.

პრემიერ ნიკა გილაურის თქმით, წლის ბოლოა და ამიტომ საჭიროა მთავრობამ თითოეული მინისტრის დაწვრილებითი ანგარიში მოისმინოს და 2012 წლის გეგმებსაც გაეცნოს.

მთავრობის მომავალი სხდომა ქუთაისში გაიმართება.

მედიანიუსი

# გაერთიანდებიან თუ არა ივანიშვილი და ოქრუაშვილი

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ზიციური მოთამაშეებისთვისაც მისაღები იქნება. მინდა პირდაპირ გითხრათ, რომ სიტყვები – „ქართული ოცნება“ „ქართული პარტიის“ გამოძახილია. მიზანი ყველას გვაქვს ერთი, ყოველ შემთხვევაში დეკლარირებული და წარმატებამდე ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად, სწორი ნაბიჯებით, ძველი შეცდომების გათვალისწინებით მივიდეთ, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

ოპტიმისტურად განწყობილ კიწმარიშვილს ამ ეტაპზე არ შეუძლია იმის თქმა, თუ ვინ იქნებიან მის მიერ ნახსენები კოალიციის წევრები.

– 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის მაისამდე ჩვენ დაგანახეთ, თუ რამხელა მუხტის გაშლაა შესაძლებელი სწორი მართვისა და იდეების პირობებში. იგივე პროცესებს დაგანახებთ უახლოეს მომავალში. დაგვაცადეთ რამდენიმე თვე, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისი აზრით, ზემოხსენებული კოალიცია უახლოეს ორ-სამ თვეში ჩამოყალიბდება.

– ყველა, ვისაც სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის სურვილი აქვს და ამისკენ ნაბიჯებს დგამს, არის პოტენციური პარტნიორი. ვიმეორებ, ყველა! ჩვენ მზად ვართ ამ მოთამაშეებთან ვითანამშრომლოთ. რა იქნება ეს, კოალიცია, გაერთიანება, თუ სხვა რამ, ანუ, რა ტიპის სიახლოვე შეიძლება წარმოიქმნას, ეს დამოკიდებულია პროცესზე, რომელზეც მე დღეს ვერ გესაუბრებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ მოძრაობას სწორედ დღეიდან ვიწყებთ. პოლიტიკური კოალიციის კონტურები უკვე არსებობს. იარსებებს თუ არა უფრო დიდი გაერთიანების კონტურები, ამას გვიჩვენებს დრო, სურვილები და პროცესი, – განმარტა კიწმარიშვილმა.

გასაგები მიზეზების გამო პარტიის თავმჯდომარე ანუ ირაკლი ოქრუაშვილი თბილისსი ვერ ჩამოვა. ბუნებრივია ჩნდება შეკითხვა როგორ შეზლებს ის პარიზიდან პარტიის მართვას. კიწმარიშვილმა იცის ერთი მარტივი წესმარიტების შესახებ. „მანძილით როდი გაიზომება, ან სიახლოვე, ანდა სიშორე“. ეს ადრეც ასე იყო, ახლა კი მითუმეტეს.

ეროსი კიწმარიშვილის მტკიცებით, საფრანგეთში მყოფ ირაკლი ოქრუაშვილს პარიზიდან-თბილისამდე არსებული მანძილი „ქართული პარტიის“ თავმჯდომარის საქმიანობის განხორციელებაში ხელს ვერ შეუშლის. ამის არგუმენტად კიწმარიშვილი კომუნიკაციის ახალ ტექნოლოგიებს ასახელებს.

– ჩვენ ვლაპარაკობთ 21-ე საუკუნეზე და პოლიტიკურ ლიდერზე. ირაკლი უკვე ოთხი წელია, რაც საფრანგეთში იმყოფება, მაგრამ მისი წვლილი „ქართული პარტიის“ ყველა წარმატებაში, გადაჭარბებულად შემიძლია გითხრათ, უზარმაზარია. ის რომ ოქრუაშვილი დღეს საქართველოში არ არის, ლიდერის ფუნქციონირებისთვის და პარტიის მართვის საქმიანობისათვის 21-ე საუკუნეში პრობლემას არ წარმოადგენს, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

# „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა ხალხს იმედი გაუცრუოს!

ნინო მეტრეველი

**ბიძინა ივანიშვილის პარტნიორები ამტკიცებენ, რომ ის მონოლითი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია, მალე გატყდება. ნაცმოძრაობის დაშლაზე იმედები პირველი არ არის. ასეთ განცხადებებს აკეთებენ მუდმივად ოპოზიციის ლიდერები, როგორც კი მოძლიერდებიან და პულსი დაეტყობათ. ასე იყო შვიდი ნოემბრის შემდეგ, საკნების აქციებისას, შარშან, ადგილობრივი არჩევნების დროს. ყველა ასეთი იმედი ოპოზიციას წყალში ჩაეყარა.**



ნაცმოძრაობა სხვა პრინციპებით არსებობს. ნებისმიერი დიდი საფრთხის დროს უფრო მჭიდროდ იკვრებიან და დუღაბდებიან. საერთო საფრთხე აერთიანებთ. ნოტარიუსით დამტკიცებული ხელშეკრულებაც რომ დაუდოს ოპოზოციამ, ხელისუფლება მშვიდად დათმეთ და არაფერს გერჩითო, მშვიდად ვერ იქნებიან. რატომ? თუ პრეზიდენტის მიერ მთელ მსოფლიოში ამაყად ნათქვამი თავის მოსაწონებელი ციფრების, აბრდღვიალებული ფასადების უკან გადავიხედავთ, ვარდისფერ ეკრანებს თვალს მოვწყვეტთ, სასამართლოებში შევიხედავთ, ხელისუფლების წევრების ქონებას თვალს გადავავლებთ, მათი მტკიცე ერთობისა და შიშის მიზეზი გასაგები იქნება. თუმცა, ერთხელ მართლაც გავრცელდა ხმები და თვითმხილველებიც არიან, როგორ გარბოდნენ ნაცბიჭები ქვეყნიდან იმ დროს, პარლამენტის თავმჯდომარე დათო ბაქრაძე რომ მოგვიწოდებდა, რუსების ტანკებისგან თავი ფიწლებითა და ჩანგლებით დაიცავითო.

მბრძანებელთა ამა ქვეყნისათა გულებს შიში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის დროს შეეპარა. ეს კარგახნიან დუმილზეც ემჩნეოდათ. აშკარად სიტუაციას „თირავდნენ“, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ სამომავლო პოზიციებიც შესაბამისად შეერჩიათ, განსაკუთრებით, ის ხალხი, პოლიტიკური ყნოსვა რომ აქვთ კარგად განვითარებული, სწორ დროს ხვდებიან სწორ ადგილზე და, შესაბამისად, მუდმივად იქ არიან, სადაც კარგა გვარიანად თბილა.

გაორჭოფებული მდგომარეობა საშუალო ვერტიკალშიც კარგად შესამჩნევი იყო. ძველებურად თავდაჯერებულად და „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბდის“ იერით ველარ დადიოდნენ გოგობიჭები, უკვე დასაფრენ ახალ პოლიტიკურ პლაცდარმს ათვალიერებდნენ.

„ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შემდეგ გამხიარულება შეეტყოთ. ცოტა გაუგებარია, რა დაინახეს ისეთი, რამაც ოპტიმიზმის საფუძველი მისცა. ფილარმონიის შეკრება, მართალია, ისეთი ვერ იყო, ივანიშვილის მომხრეებსა და მოიმედეებს გულს რომ გაუხარებდა, მაგრამ, არც ისეთი, მის მტრებს რომ ააფრენდა ცაში სიხარულით. ნაცების ზოგადი განწყობა ერთმა მოზრდილმა ნაციონალმა პრივატულ საუბარში ასე გამოხატა: ჩვენი ბელადი უფრო მაგარიაო.

სავარაუდოდ, მათი ფრთების გამოსხმის მიზეზი ის მოსაზრებები იყო, რომლებიც „ქართული ოცნების“ დაფუძნების შემდეგ გაისმა, რომ ივანიშვილის ძალას რესურსი კი აქვს, მაგრამ მასზე, როგორც ალტერნატივაზე საუბარი ცოტა ადრეა.

რას იზამს ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა, ჩაებმება თუ არა მასში ხალხი, რამდენად ძლიერი იქნება მისი პარტია, შეძლებს თუ არა მის სათავეში ჩადგომას თავად ბიძინა ივანიშვილი, რამდენად აქტიური იქნება პოლიტიკური პროცესი, ამის ნიშნები ახლო მომავალში გამოჩნდება, მაგრამ იმ ორთვიანმა ტაიმაუტმა, რომელიც მის პირველ გამოჩენას მოჰყვა და არცთუ პოლიტიკურად სწორმა განცხადებამ, რომელმაც ოპოზიცია ერთმანეთს დააპირისპირა, ხელისუფლება მთლად ადრინდელ ხასითზე ვერ დააყენა, მაგრამ აშკარად გამოუსწორა.

ივანიშვილმა კი გააკრიტიკა ნაცმოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფუძნებისას, მოქმედებენ ლოზუნგით, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო, მაგრამ თვითონაც ამ ლოზუნგით შემოვიდა პოლიტიკაში, როცა ოპოზიცია თავისიანებად და სააკაშვილისიანებად დაყო, ვინც ჩემთან არ არის, სააკაშვილთან არისო. სავარაუდოდ, ხელისუფლება მისმა არაერთხელ გაკეთებულმა განცხადებამაც გაათამამა, რომლის მიხედვითაც ივანიშვილმა ქუჩასა და საპროტესტო აქციებზე უარი თქვა ფრიად გაუგებარი მოსაზრებით, ვინც ქუჩაში გავა, სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალსო. სამართლიანი არჩევნებით ხელისუფლებების ცვლილებები ჩვენი მრავალწლიანი სანუკვარი ოცნებაა, რომელიც ოცნებად რჩება. ამ ფრონტზე ნაცმოძრაობა ისეთი მაგარია, შევარდნაძე და მისი საარჩევნო კანტორის ხრიკები მოგონილია და, თუ მათ აპრიორი ეუბნები, მხოლოდ არჩევნებით შეგებრძოლებით, ქუჩისკენ არც კი გავიხედავთო, ამით ძილს ნამდვილად ვერ დაიფრთხობ.

ხელისუფლება გაურკვევლობიდან გამოვიდა და მათი იდეოლოგები უკვე შეტევაზეც კი გადავიდნენ განცხადება-კომენტარებით. ეს უკვე ნიშნავს, რომ ნაცების რეანიმაციის პროცესმა დადებითი შედეგი გამოიღო და ძველ ამპლუას უბრუნდებიან. თუ იმ პროცესებს, რომლებიც ქვეყანაში მიდის, კიდევ ერთხელ გადაურჩნენ, მერე საარჩევნოდ მოსხმულ კრავის ტყავსაც მოიხსნიან და ასჯერ დიდ მადაზე მოსულები და უფრო დავაჟკაცებულები შესწორდებიან სავარძლებში, უკვე მართლაც მარადიულად.

ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობის უდიდესი წილი ბიძინა ივანიშვილსა და მის ერთობას დაეკისრება. როგორც დიდმა ნაციონალმა ნუგზარ წიკლაურმა ბრძანა, ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციის მკვლელად შემოვიდა, თორემ ჩვენ ვერაფერი გვიყოო. სოციოლოგიური კვლევებით, მართლაც ასეა. პოლიტიკაში ახლად შემოსულმა ივანიშვილმა ლეიბორისტებს, ეროვნულ ფორუმსა და ქრისტიან-დემოკრატებს თვრამეტი პროცენტი წაართვა, ნაცმოძრაობას ვერაფერი დააკლო და, თუ ასეთ ერთადერთობად ქცეული პოლიტიკური ძალა დამარცხდება, ეს სახელისუფლებო პარტიას არნახულ გამარჯვებას მოუტანს და გააძლიერებს.

პირველი პოლიტიკური ელდის შემდეგ სახელისუფლებო პარტიამ ძალების მობილიზაცია გამოაცხადა. ივანიშვილის განცხადებით, რომ ხელისუფლებაში მყოფ ჩინოვნიკებს საფრთხე არ ემუქრებათ და თანამდებობებზე დარჩებიან, გაორებულ ადამიანებს ნაცების გამოფხიზლებულმა ლიდერებმა მკაცრად შემოუძახეს. ნაცვერტიკალს, შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნგრევის საფრთხე ერთადერთი, ქვემოდან ემუქრება, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების საწინააღმდეგო მხარეს ძლიერი ძალა დადგება. ხალხის სიმპათია და მხარდაჭერა ყოველთვის ძლიერის მხარესაა. ამიტომაც გაყოყოჩდნენ ხელისუფლების სახეები.

ამერიკიდან იმედდაკარგულმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპა დალაშქრა ტრაბახ-ტრაბახით. საფრანგეთიდან და პოლონეთიდან ისეთი მესიჯები გაუშვა ქართულმა პროპაგანდამ, თითქოს მთელი ევროპა ჩვენი ბედნიერი ყოფით ხარობდეს. სააკაშვილმა ლამის ევროკავშირის წევრად გამოგვაცხადა. სტრასბურგის მერის მოადგილემ რომ ქუჩაში ერთად სეირნობისა და „მარიაჟობის“ პატივი დასდო, ესეც საქართველოში მისი ამომრჩევლის დასანახავად იყო გამიზნული, სათქმელად, ისევ მაგარი ვარ და არაფერი შეგეშალოთო, თორემ ქალაქის მერის მოადგილეს თავმოყვარე პრეზიდენტი არც შეხვდებოდა.

სხვათა შორის, პოლონეთში სიტყვა გაექცა ამ ჩვენს მაღალს, ვლადიმირ პუტინის მისამართით თქვა, თუ დიქტატორი ხარ, შენი სხეულის შიშველი ნაწილები უნდა აჩვენო ადამიანს შენი ძალის სადემონსტრაციოდ და ძლიერი და დაუნდობელი უნდა იყო, რომ შენი ძალის იწამონო. სხვის ბაღჩაში გადასროლილი კენჭები რომ თვითონაც მოხვდა, ვერც მიხვდა, მისი შიშველი ნაწილები არაერთხელ გვინახავს და არც მისი მკაცრი ხელის სიმწარე დავიწყებია ხალხს.

ივანიშვილის არასწორმა განცხადებამ ოპოზიციის ნაწილი მასთან დააპირისპირა. მცირეხნიანმა პასიურმა მდგომარეობამ ჩაჩოქილი ხელისუფლება წელში გამართა და ძველი რიხი დაუბრუნა. ხელისუფლება ჯერჯერობით ირიბ დარტყმებს ახორციელებს ახალ ძალაზე, მაგრამ, თუ „ქართული ოცნების“ კონსტრუქციული პასიურობა გაგრძელდება, ახალი მოძრაობა დაღმა წავა.



## რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ოფიციალურად გაწევრიანდა

ჟენევაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე 18-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოეწერა ოქმს რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების შესახებ.




რუსეთის მხრიდან ოქმს ხელი ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა ელვირა ნაბიულინამ მოაწერა, ვმო-ს მხრიდან კი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პასკალ ლამიმ.

სახელმწიფო დუმის მიერ ოქმის რატიფიცირებიდან 30 დღის შემდეგ რუსეთი ოფიციალურად გახდება ორგანიზაციის წევრი.

– ბოლო წინააღმდეგობა, რომლის დაძლევაც რუსეთს მოუწია იყო საქართველოს პოზიცია, რომელიც ბლოკავდა მოსკოვის ორგანიზაციაში წევრობას ორ ქვეყანას შორის 2008 წელს მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, – წერს ბი-ბი-სი.

მხარეები დავობდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი რეგიონების საზღვრების მონიტორინგის საკითზე, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელი გახდა შვეიცარიის შუამავლობით.

2011 წლის ნოემბერში მოსკოვმა და თბილისმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს საზღვრების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მოსკოვმა ვმო-ში გასაწევრიანებელი მოლაპარაკებები 1993 წელს დაიწყო. ორგანიზაცია მსოფლიოს 153 ქვეყანას აერთიანებს.

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ვმო-ის მინისტრების კონფერენციის მონაწილეებს ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე თანხმობის მიცემის გამო მადლობა გადაუხადა.

– ვმო-ის მინისტრების მერვე კონფერენციის ფარგლებში რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ეს არის ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შედეგი და მომგებიანია როგორც რუსეთისთვის, ისე მისი მომავალი პარტნიორებისთვის. მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევისთვის მოლაპარაკებების ყველა მონაწილეს მადლობას მოგახსენებთ, – ნათქვამია მედვედევის მიმართვაში, რომლის ტექსტი კრემლის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.

თავის მხრივ, რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის განცხადებით, „რუსეთის ვმო-ში გაწევრიანება შიდა ბაზარზე უცხოური მწარმოებლების სრულ ბატონობას გამოიწვევს“.

– რუსეთს ვმო-ში გაწევრიანება ტრანსნაციონალური კაპიტალის დიქტატზე უფრო დამოკიდებულს გახდის. ხელისუფლება ვალდებულებას იღებს, ორჯერ შეამციროს სახელმწიფო ინვესტიციები სოფლის მეურნეობის დარგებში. ჩვენს შიდა ბაზარზე უცხოური მწარმოებლების ბატონობა გარანტირებულია, – განაცხადა ზიუგანოვმა პარტიის ყრილობაზე.

მისივე თქმით, „დღეს ვმო-ში გაწევრიანების გარეშეც კარაქის, რძის, პურის, ყველის და საქონლის ხორცის წარმოება მცირდება და ამჟამინდელი ფინანსური პოლიტიკის გაგრძელება ქვეყანას ვალების კიდევ უფრო ღრმა ორმოში ჩააგდებს“.

**მოამზადა ვერა მამულაშვილმა**

ეკა ირემაშვილი

# ვაჟა აზარაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

**ცნობილ ქართველ კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს 22 დეკემბერს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე კი დიდ საკონცერტო დარბაზში კომპოზიტორის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ღონისძიება თბილისის მერიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.**



შემოქმედებით საღამოზე ახალგაზრდა მომღერლები კომპოზიტორის ცნობილ სიმღერებს შეასრულებენ. საიუბილეო კონცერტს არანჟირებას ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი გაუწევს. ორკესტრს კი დავით მაზანაშვილი უდირიჟორებს.

ორსაათიან კონცერტზე 20-ზე მეტი სიმღერა იქნება შესრულებული.

როგორც იუბილარმა კომპოზიტორმა „ახალ თაობას" განუცხადა, წელს მისი პიროვნებისადმი ყველა განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩევა, რისთვისაც ხელოვანი ყველას დიდ მადლობას უხდის. როგორც ბატონმა ვაჟამ გვითხრა, იგი სამტომეულზე მუშაობს, რომელშიც მისი სიმღერები ნოტების სახით იქნება გაერთიანებული.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

– წელს ჩემ მიმართ ყველა ზედმეტად ყურადღებიანია, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. ერთი კამერული მუსიკის კონცერტი უკვე მქონდა კონსერვატორიაში 25 ნოემბერს, მანამდე კულტურის სამინისტროს დარბაზშიც შესრულდა ჩემი ნაწარმოებები.

***– 22 დეკემბერს რა იქნება?***

– ახლა იქნება საესტრადო მუსიკის კონცერტი. ეს კონცერტი ჩემი შვილის ნათიას იდეაა. ძირითადად ახალგაზრდები მღერიან და ძალიან კარგია. ეს იდეა მომწონს. ვინც ნიჭიერია, ყველა იმღერებს. ისინი ჯეოსტარიდან, ნუცას სკოლიდან შევარჩიეთ.

***– კონცერტში მონაწილეები თქვენ თვითონ შეარჩიეთ?***

– უფრო ნათიამ შეარჩია, თუმცა მეც ვისმენდი კანდიდატურებს.

***– მაინც, ვინ იმღერებს? მამალაძე?***

– ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, თეატრალური კვარტეტი, სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, მერაბ სეფაშვილი, თიკა მახალდიანი, სოფო გელოვანი, ნეკა სებისკვერაძე, ლელა წურწუმია, მარიკო ებრალიძე, სოფო ხალვაში, ტრიო „ვივო" დათუნა მგელაძის, გოგა მესხისა და გიორგი სუხიტაშვილის შემადგენლობით, დუეტი „ჯორჯია", ბორის ბედია, აჩიკო ნიჟარაძე, ქსოვრელები. ამ კონცერტს გახსნის ჩემი ქალიშვილი, რომელიც „თბილისურ სიუიტას" დაუკრავს. პირველივე არის ეს პიესა, რომელიც ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის დავწერე.

***– ამ საიუბილეო კონცერტის ჩატარების მთავარი ინიციატორი თქვენი ქალიშვილია?***

– კი, კამერული მუსიკის კონცერტის პროგრამაც მან გააკეთა, ნაწარმოებებიც თავად შეარჩია.

***– თქვენ არ იმღერებთ?***

– კი, ერთ სიმღერას მეც ვიმღერებ.

***– ბატონო ვაჟა, ამდენი კარგი სიმღერა გაქვთ, როგორ არჩევთ საუკეთესოებს?***

– რა ვიცი, ვარჩევთ. ახლაც ვზივართ მე და კომპოზიტორი ლევან კასრაძე და ნაწარმოებებს ვარჩევთ. ლევანი იმ სამტომეულის რედაქტორია, რომელზეც ვმუშაობთ. 22 დეკემბრისთვის პირველი ტომი მზად იქნება, მეორე ტომიც თითქმის მზად არის და მესამეც ვიცით, როგორი უნდა გავაკეთოთ.

***– რა შევა ამ სამტომეულში?***

– ეს იქნება სიმღერების ნოტები, რომელიც სამტომეულში გაერთიანდება.

***– რთული სამუშაო არ არის?***

– რთულია, აბა რა! 8 თვეა ამაზე ვმუშაობ. ბევრი ნამუშევარი დამიგროვდა, რომლის დახარისხებასაც დიდი დრო სჭირდება. მინდა ეს ნაწარმოებები სამტომეულში გადავანაწილო. დიდი ხანია რაც ვმუშაობ. დრო რომ გადის რაღაცები არ მოგწონს, რაღაცას ცვლი და ახარისხებ. ახლა, ჩემი საიუბილეო წელია, მერია კონცერტების გამართვას შემპირდა და დანაპირები აასრულა კიდეც. საშუალება მომეცა მსმენელისთვის წარმედგინა როგორც კამერული, ასევე სიმფონიური ნაწარმოებები, ახლა კი საესტრადო სიმღერების მოყვარულებს ვეპატიჟებით დიდ საკონცერტო დარბაზში. მრავალ ჟანრში ვმუშაობ და მიხარია, რომ ჩემი ნაწარმოებების შესრულების საშუალებას კულტურის სამინისტრო და დედაქალაქის მერია მაძლევს. გასულ წელს წიგნიც გამოვიდა ჩემზე სახელწოდებით „უკან მოხედვის არ მეშინია", რომელსაც დისკიც ახლავს. ალბათ ისე მიცხოვრია რომ გავბედე და ვთქვი, უკან მოხედვის არ მეშინია-მეთქი და ეს სიმალთეა. ამბობენ, კარგი წიგნიაო. პირველმა არხმა გადაიღო ჩემზე ფილმი და ნაჩვენებიც იყო ტელევიზიით. ძალიან მუშაობენ ჩემზე და ყველას განსაკუთრებული მადლობა.

***– ბატონო ვაჟა, ბევრია 75 წელი?***

– ბევრიც არის და ცოტაც. ბუნებით ძალიან ახალგაზრდა ვარ. დალევაც შემიძლია, შრომაში ძალიან ენერგიული ვარ, მეგობრებთანაც აქტიური ვარ, უბედურება ის არის, რომ ბევრი წამივიდა. ჩემი უახლოესი მეგობრის მერაბ დონაძის წლისთავიც იყო.

***– 22 დეკემბერს თქვენი ვარსკვლავი უნდა გაიხსნას. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?***

– წოდებებიც მაქვს და ყველაფერიც, მართალი გითხრათ, ვარსკვლავზე დიდად არ ვგიჟდები, მაგრამ ვინც ჩამთვალა ღირსად, რომ ჩემი ვარსკვლავი იყოს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, ულრმეს მადლობას მოვახსენებ. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია. ეს კონცერტი მერიის და კულტურის სამინისტროს ინიციატივით ტარდება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ჩემთან მიმართებაში ყველა აქტიურია და მაქცევენ ყურადღებას.

***– ბატონო ვაჟა, შეუსრულებელი ნაწარმოებები დაგრჩათ?***

– რა თქმა უნდა. მაქვს შეუსრულებელი ნაწარმოებები, როგორც კამერული, ისე სიმფონიური და საესტრადოც. იმედი მაქვს, რომ ამ ნაწარმოებებსაც აუცილებლად შევასრულებთ და მსმენელი მათ შეფასებას შეძლებს.

ეკა ირემაშვილი

# უნიკალური კინოკადრები საქართველოში

**უნიკალური კინოკადრები, რომლებიც თავის დროზე აზერბაიჯანელმა რეჟისორებმა გადაიღეს და მათში ცნობილი ქართველი მსახიობები არიან აღბეჭდილი, უკვე საქართველოშია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს აზერბაიჯანის სახელმწიფო კინოფონდმა გადასცა კინოკადრები და ფოტოები იმ აზერბაიჯანული მხატვრული ფილმებისა, რომლებშიც ქართველი მსახიობები მონაწილეობენ.**

კინოფონდის დელეგაცია, რომელსაც ორგანიზაციის დირექტორი ჯამილ გულიევი ხელმძღვანელობს, საქართველოში ეროვნული არქივის მოწვევით თბილისს უკვე მესამედ ეწვია. დელეგაციამ შეხვედრა გამართა ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორთან თეონა იაშვილთან.

– 20-მდე ფილმის კინოკადრები და ფილმის გადაღებისას ფოტოზე აღბეჭდილი გადასაღები მოედანი ეროვნულ არქივში დაცულ, ქართულ კინემატოგრაფიასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს კიდევ უფრო გაამდიდრებს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას თეონა იაშვილმა.

ფილმებს შორისაა – „დაბადების დღე", „საგზაო შემთხვევა", „არამზადა", „ჩვენი ქუჩა", „სად არის ახმედი", „რომეო ჩემი მეზობელი", „დილა", „სალამურის ხმა", „გარედან" და სხვა კინოსურათები, რომელშიც მონაწილეობენ მსახიობები იპოლიტე ხვიჩია, ლია ელიავა, გივი თოხაძე, ნანა ფაჩუაშვილი, დავით უფლისაშვილი, ვახტანგ ფანჩულიძე, ავთანდილ მახარაძე, არიადნა შენგელაია, ირაკლი ხიზანიშვილი, მეგი კეჟერაძე, გიული ჭოხონელიძე და სხვა ქართველი მსახიობები.

ამ უნიკალური კინოკადრების გარდა, ეროვნულ არქივს გადაეცა 1966 წელს ბაქოში ქართველი მსახიობებისა და რეჟისორების ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა. ეს დოკუმენტები ეროვნულ არქივში აქამდე არ ყოფილა დაცული.

საქართველოს ეროვნული არქივი აზერბაიჯანის სახელმწიფო კინოფონდთან 2010 წლიდან თანამშრომლობს. 2011 წლის აპრილში ჯამილ გულიევმა კერძო კოლექციონერთან მოიძია და ეროვნულ არქივს გადასცა 1908 წელს ბაქოში, სავარაუდოდ, ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული კინოკადრები, სადაც ასახულია ბაქოს ნავთობის წარმოება.

– ჩვენ საქართველოს ეროვნულ არქივთან მჭიდროთ ვთანამშრომლობთ. მოგვეცა საშუალება, თქვენთან უკვე მესამედ ჩამოვიდეთ. ამჯერად თქვენს არქივს საჩუქრად გადავეცით უნიკალური კინოკადრები და ფოტოები, რომლებშიც თქვენი ცნობილი მსახიობები არიან აღბეჭდილი. ჩვენ თითოეული საარქივო მასალა დავამუშავეთ და საქართველოში ისე ჩამოვიტანეთ. ეს კადრები გასული საუკუნის 50-70-იან წლებშია გადაღებული, – განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო კინოფონდის ხელმძღვანელმა ჯამილ გულიევმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა უნიკალური მასალების მიღების პარალელურად, სტაჟირების მორიგი პროგრამა დაასრულა. მასში მონაწილე წარმატებულ სტაჟიორებს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა სერთიფიკატები გადასცა. სტაჟირების 6-თვიანი პროგრამა ეროვნულ არქივში 2011 წლის ივნისში დაიწყო. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შერჩეული იყო 14 კანდიდატი. სტაჟიორთა შორის იყვნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები და უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები.

– საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტებისა და თბილისის არქივებში სტაჟიორებს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ. მათგან ყველაზე წარმატებულები არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნებიან.

ეროვნული არქივი კი სტაჟირების ახალ პროგრამას მომავალი წლიდან დაიწყებს, – განაცხადა თეონა იაშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების გუნდებმა კი ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში ინტელექტულურ თამაშში „რა, სად, როდის?" შეჯიბრი გამართეს. ღონისძიებაში ჩაერთნენ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრების, აღსრულების, ეროვნული არქივის, ნოტარიუსთა პალატისა და პროკურატურის 16 გუნდი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- ქირავდება ოროთახიანი ბინა ყველანაირი ავეჯითა და საოჯახო ტექნიკით (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, წყლის ბაკი, გაზის გამათბობელი) ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183; 222-08-75.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# წაუგებელი არმია და უქულო რუსთავი



## სოხუმი – არმია 58:86

(20: 23, 8: 13, 11: 28, 19: 22)

**სოხუმი:** ფარლალავა (16ქ,8მ,8პ), ჩლაიძე (5ქ), სორდია, ათუაშვილი (8ქ), ფაცაცია (14ქ,7მ), გაფრინდაშვილი (4ქ), ქადარია (5ქ), ჯგერენაია (6ქ), ჯანაშია

**არმია:** რიჩარდსონი (24ქ), ბაბიაშვილი (1ქ), კვიმსაძე (6ქ), ტომასი (21ქ), მოსეშვილი (3ქ), ათანელაშვილი (2ქ), შელბომი (6ქ,9მ), ვუდსაიდი (14ქ,14პ), საყვარელიძე (9ქ)

საკმაოდ ემოციურ და სანახაობრივ მატჩში თავდაცვის სამინისტროს გუნდმა სოლიდური სხვაობით, 86:58 იმარჯვა და სატურნირო ცხრილს კვლავ წაუგებლად ლიდერობს.

შეხვედრის პირველი ათწუთეული თანაბარად წარიმართა და ხშირ შემთხვევაში ტაბლოზეც თანაფარდობა ციმციმებდა, თუმცა, არმიელებმა მაინც მოახერხეს და მეოთხედი 3 ქულით მოიგეს.

სოხუმელებმა მეორე მეოთხედის შუაში ერთხელაც მოახერხეს გათანაბრება, თუმცა, ამის შემდეგ სრულ უპირატესობას უკვე არმიელები დაეუფლნენ და დიდი ანგარიშითაც იმარჯვეს. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მეოთხედი საკმაოდ მწირი გამოდგა ჩაგდებული ქულების მხრივ.

მესამე პერიოდში ძალოვნებმა მეტოქე საბოლოოდ გატეხეს, ხოლო დასკვნით მეოთხედში ეს უპირატესობა აღარ გაანიავა და მიმდინარე სეზონში მე-9 გამარჯვება მიითვალა.

„სოხუმს" 16 ქულა ლაშა ფარლალავამ შესძინა, ხოლო არმიელებს 24 ქულით ჯერემი რიჩარდსონმა ულიდერა. აღსანიშნავია, ბენჟამენ ვუდსაიდის კარგი თამაში, რომელიც 14 ქულითა და ამდენივე შედეგიანი გადაცემით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა.

## შსს – თსუ 113:85

(24: 14, 16: 19, 36: 25, 37: 27)

**შსს:** მაკქემონი (12ქ,5პ), ლაფანაშვილი, ლონდარიძე (19ქ,9მ), თენიეშვილი, ტუჯანი (6ქ), იმნაძე, დვალიშვილი, ბლერი (41ქ, 10მ,7პ), კრეპსი (27ქ,9მ,6პ), ბოქოლიშვილი (2ქ), სმიტი (9ქ,9მ)

**თსუ:** დ.ბერიშვილი (12ქ), ფანჩულიძე, კოხრეიძე (3ქ), კორკოტაძე (11ქ), ნინიაშვილი (27ქ,9მ), ჩიტაშვილი (9ქ,8მ,9პ), ხიზანიშვილი (6ქ), შერმადინი, ზ.მაისურაძე (17ქ), ჩქარეული

მატჩი ძალიან საინტერესო გამოდგა – მოგებულებმა მეტოქის კალათში 113 ქულა ჩააგდეს და მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი, რომელიც აქამდე „არმიას" ეკუთვნოდა (112) ქულით გააუმჯობესეს.

შეხვედრა თავიდანვე შსს-ს უპირატესობით დაიწყო, ძალოვნებმა მეორე მეოთხედის დასრულებამდე 4:45 წუთით ადრე 11 ქულიან უპიურატესობას უწიეს, თუმცა სტუდენტები გააქტიურდნენ და პერიოდის დასრულებამდე 27:6 წამით ადრე სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანეს – 33:40.

მატჩის მესამე მეოთხედი საინტერესო და დაძაბული გამოდგა, შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდის დასრულებამდე 6:20 წუთით ადრე წინ სოლიდური სხვაობით გაიჭრა – 53:37. ერთია სტუდენტები ფარხმალის დაღრას იოლად არ აპირებდნენ, ერთხელაც გააქტიურდნენ და მესამე პერიოდის მიწურულს, 1.26 წუთით ადრე სხვაობა 10 ქულამდე შეამცირეს – 55:65. შსს-ს გუნდმა მეტოქეს თამაშში გარდატეხის შეტანის საშუალება არ მისცა, ტემპს და სხვაობას უმატა.

მეოთხე მეოთხედში ძალოვნები შეუჩერებლები აღმოჩნდნენ და ფაქტიურად თამაშსაც აზრი დაეკარგა. ამ შეხვედრაში გუნდური რეკორდთან ერთად კიდევ ერთი სარეკორდო შედეგი დაფიქსირდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ლეგიონერმა ლარი ბლერმა 41 ქულა მიითვალა და მიმდინარე სეზონში სარეკორდო შედეგი ქულით გააუმჯობესა – აქამდე 40 ქულა „სოხუმის" ფორვარდს, ლევან ფაცაციას ჰქონდა ჩაგდებული.

რეკორდთან ერთად ბლერმა ორმაგი დუბლიც მიითვალა (10 მოხსნა, 7 პასი), ასევიჩინებულად ითამაშა რობერტ კრესპიმაც, რომელმაც 27 ქულასთან ერთად გუნდს 9 მოხსნა და 6 პასი შეაწია, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგებში თორნიკე ნინიაშვილი გამოირჩა, რომელმაც 27 ქულა დააგროვა და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნალა დააკლდა.

## სტუ – დინამო 97:81

(23: 18, 24: 18, 17: 23, 33: 22)

**სთუ:** თევზაძე (2ქ), ჩაჩიბაია (12ქ), მაჩალაძე (17ქ,16მ), ხანიაშვილი (12ქ), კობიძე (2ქ), დეკანოიძე (4ქ), ძიძიგური (10ქ), ვ.ბერუაშვილი (11ქ,13მ), ანთაძე (27ქ)

**დინამო:** ბაქრაძე (11ქ,7პ), ლეჟავა, სანაძე(5ქ), მარხვაშვილი (7ქ), კეიდია (2), ალხანაიძე, სუხიშვილი (2ქ), დეივი (29ქ,11მ), კარტერი (25ქ,19მ)

თავდაპირველად შეხვედრა „დინამოს" უპირატესობით დაიწყო – განსაკუთრებით დაცვაში და მეტოქემ პირველი ქულები მხოლოდ მე-6 წუთზე მიითვალა. თუმცა, ტექნიკოსები მეორე მეოთხედში ძალიან გააქტიურდნენ, სულ სხვაგვარად ათამაშდნენ და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 47:36.

მესამე მეოთხედი კვლავ ტექნიკოსთა უპირატესობით დაიწყო, პერიოდის შუაწელში სტუ-ს სათადარიგოთა სკამმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო და გუნდებს შორის სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა – 56:51. მესამე მეოეთხედის დასრულებამდე 3:15 წუთით ადრე დინამოელთა იაქტიურეს და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს – 58:57. თუმცა, მეტი ვერაფერი გააწყვეს და სტუდენტებმა მესამე მეოთხედი 64:59მოიგეს.

დასკვნითი პერიოდი განსაკუთრებით დაძაბული და ემოციური გამოდგა, დასკვნითი ათწუთეული გუნდების გარდამავალი უპირატესობით დაიწყო, სადაც ტექნიკოსები მცირე უპირატესობას ფლობდნენ. აღნიშნული მეოთხედის შუაწელში სტუ კვლავ გააქტიურდა და წინ 76:69 გავიდა. დარჩენილ დროში სტუ-მ საბოლოოდ გატეხა მეტოქე და მატჩის დასრულებამდე 2:15 წამთ ადრე 13 ქულით დაწინაურდა – 85:72.

„დინამომ" ვერ ფიზიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად ვერ შეძლო თამაშზე მობილიზების მოხდენა და მარცხი განიცადა.

გამარჯვებულებს ულიდერა ზვიად ანთაძემ, რომელმაც 27 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, ხოლო ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ მიითვალა – ვასილ ბერუაშვილმა (11ქ.13მ) და ზურაბ მაჩალაძემ(17ქ.16მ).

რაც შეეხება დინამოს გუნდს, მის შემადგენლობაში ორმაგი დუბლი ამერიკელმა ლეგიონერებმა შეასრულეს – დეივ ნოელმა 29 ქულა და 11 მოხსნა, ხოლო ქიენ კარტერმა 25 ქულა და 19 მოხსნა დააგროვა.

## თსსუ – ოლიმპი 78:71

(19: 21, 21: 17, 18: 26, 13: 14)

**თსსუ:** ტომარაძე (15ქ,7მ), ჩიკვილაძე (12ქ), ბექაური (11ქ,9მ), პირველაშვილი (2ქ), გაბისონია, აბაიშვილი (5ქ), შვანგირაძე, ჭოჭუა (12ქ), ილიჩი (10ქ,8მ), ჯინჭარაძე (4ქ), სამოილოვიჩი

**ოლიმპი:** გამყრელიძე (6ქ,13პ), გულისაბედაშვილი (2ქ), მილუტინოვიჩი (14ქ,7მ), მ.ბერიშვილი (20ქ,14მ), სლიუკა (9ქ), ტუტუსი (12ქ), ჰოგერი (15ქ,7მ)

ოლიმპის გუნდმა 7 ქულის სხვაობით, 78:71 დაამარცხა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი და 17 ქულით სატურნირო ცხრილის მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

მატჩის პირველი ათწუთეული გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, სადაც 2 ქულის სხვაობით საბოლოოდ ოლიმპელებმა იმარჯვეს – 21:19. მეორე მეოთხედში თსსუ საკმაოდ გააქტიურდა და პერიოდის მე-2 წუთზე პირველად გავიდა წინ – 23:22. საერთოდ, ეს ათწუთეული მედიკოსებმა უკეთ ჩაატარეს, უპირატესობა პირველი ნახევრის დასრულებამდე შეინარჩუნეს და ტაიმში 2-ქულის სხვაობით იმარჯვეს – 40:38.

მესამე მეოთხედი კიდე უფრო საინტერესო და სანახაობრივი აღმოჩნდა – ოლიმპელები მეტოქეს ჯერ გაუთანაბრდნენ, შემდეგ კი 3 ქულითაც დაწინაურდნენ – 46:43. მესამე მეოთხედის დარჩენილი დროში ოლიმპელები კვლავ მცირე უპირატესობას ფლობდნენ, სამედიცინო კი მუდამ მდევრის როლში იმყოფებოდა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მეოთხე მეოთხედის დასაწყისში, „ოლიმპმა" 10-ქულიან უპირატესობას მხოლოდ პერიოდის შუაწელში მიაღწია (60:70), რის შემდეგაც მეტოქისთვის დაწევის საშუალება აღარ მიუცია.

მედიკოსების რიგებში 15 ქულით კოკა ტომარაძე გამოირჩა, ხოლო „ოლიმპის" შემადგენლობაში საუკეთესო მიხეილ ბერიშვილი იყო, რომელმაც 20 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა.

## რუსთავი-ბათუმი 85:93

(21: 30, 19: 32, 24: 12, 21: 19)

**რუსთავი:** არწივიძე (9), ჩაჩანიძე (19), მაჭავარიანი (6), ხმელიძე (33), გუგავა (8ქ,11მ), გ.არაბული (2), გ.ბერუაშვილი, თვარაძე, ბააკაშვილი, კოპალიანი (8)

**ბათუმი:** მიქელაძე (7), რამიშვილი (17), ი.მაისურაძე (11ქ,8მ), ელიაშვილი (14), კეშელავა (28ქ,14მ), ნინუა, ელიაძე (16)

შეხვედრის პირველი ნახევარი ზღვისპირელთა უპირატესობით წარიმართა, ხოლო დიდ შესვენებაზე ბათუმელები 22-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 62:40. მეორე და მესამე მეოთხედებში „რუსთავი" გააქტიურდა და მატჩში სხვაობაც შეამცირა, თუმცა მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „ბათუმმა" საბოლოოდ 8 ქულით დაამარცხა მეტოქე და მიმდინარე სუპერლიგის სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ქვემოქართლელები კი კვლავაც მოგების გარეშე აგრძელებენ ასპარეზობას.

მასპინძელთა რიგებში 33 ქულით ლევან ხმელიძე გამოირჩა, ხოლო ზღვისპირელებს ლაშა კეშელავამ ულიდერა, რომელმაც 28 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 9 | 9 | 0 | 832:566 | 18 |
| 2.ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 737:652 | 17 |
| 3.ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 772:678 | 16 |
| 4.სოხუმი | 9 | 6 | 3 | 758:692 | 15 |
| 5.შსს | 9 | 5 | 4 | 814:773 | 14 |
| 6.თსუ | 9 | 4 | 5 | 717:743 | 13 |
| 7.თსსუ | 10 | 3 | 7 | 843:892 | 13 |
| 8.სტუ | 9 | 4 | 5 | 746:798 | 13 |
| 9.დინამო | 9 | 3 | 6 | 738:819 | 12 |
| 10.ბათუმი | 9 | 1 | 8 | 656:798 | 10 |
| 11.რუსთავი | 9 | 0 | 9 | 642:844 | 9 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი**

**მე-3 ადგილისთვის**

კაშივა-ალ სადი .................. 0:0(3:5პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი ......... 1:2
ვულვზი-სტოკი ......... 1:2
ნიუკასლი-სუონსი ......... 0:0
ფულემი-ბოლტონი ......... 2:0
ევერტონი-ნორვიჩი ......... 0:0
უიგანი-ჩელსი ......... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლეპული-უოტფორდი ......... 0:0
ბრაიტონი-ბარნლი ......... 0:1
ბრისტოლი-ნოტინგემი ......... 0:0
ვესტ ჰემი-ბარნსლი ......... 1:0
დონკასტერი-ლესტერი ......... 2:1
იფსვიჩი-დერბი ......... 1:0
კარდიფი-მიდლსბრო ......... 2:3
ლიდსი-რედინგი ......... 0:1
პიტერბრო-ქოვენთრი ......... 1:0
ჰალი-მილუოლი ......... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ხეტაფე ......... 1:2
ხიხონი-ესპანიოლი ......... 1:2
ბილბაო-სარაგოსა ......... 2:1
სევილია-რეალი ......... 2:6

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ბარსელონა ბ ..... 1:0
ხირონა-ხიმნასტიკი ......... 3:2
კორდობა-უელვა ......... 0:0
მურსია-ალკოიანო ......... 3:2
ნუმანსია-ერკულესი ......... 2:1
სელტა-გვადალახარა ......... 2:0
უესკა-ვილიარეალი ბ ......... 1:0
ხერესი-ლარტახენა ......... 3:0

**იტალია. სერია ა**

კიევო-კალიარი ......... 2:0
მილანი-სიენა ......... 2:0
ფიორენტინა-ატალანტა ......... 2:2

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-გუბიო ......... 0:0
ბარი-ვიჩენცა ......... 2:2
კროტონე-ასკოლი ......... 1:2
მოდენა-ტორინო ......... 2:1
პადოვა-ნოჩერინა ......... 2:2
რეჯინა-სასუოლო ......... 1:1
ემპოლი-გროსეტო ......... 2:2

***ემპოლის პირველი გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა***

იუვე სტაბია-ჩიტადელა ......... 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ნიურნბერგი ......... 0:3
ვოლფსბურგი-შტუტგარტი ......... 1:0
ჰამბურგი-აუგსბურგი ......... 1:1
ფრაიბურგი-დორტმუნდი ......... 1:4
ჰოფენჰაიმი-ჰერტა ......... 1:1
შალკე-ვერდერი ......... 5:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-მიუნხენ 1860 ......... 1:3
ფრანკფურტი-ბოხუმი ......... 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-ოსერი ......... 1:0
დიჟონი-სერნ ეტიენი ......... 1:2
კაენი-ნანსი ......... 1:2
მარსელი-ლორიენი ......... 2:1
მონპელიე-ტულუზა ......... 1:1
ნიცა-ვალანსიენი ......... 2:0
ლიონი-ევიანი ......... 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-მონაკო ......... 2:2
კლერმონი-ბულონი ......... 1:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ერაკლესი-ვიტესი ......... 0:1

***ვიტესის გოლი გურამ კაშიამ გაიტანა***

ნაიმეგენი-ვენლო ......... 2:0
როდა-ექსელსიორი ......... 7:0
გრონინგენი-უტრეხტი ......... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰიბერნიანი ......... 1:0
კილმანროკი-დანდი ......... 1:1
მოზერველი-სტ.მირენი ......... 1:1
რეინჯერსი-ინვერნესი ......... 2:1
ჰართსი-დამფერმლაინი ......... 4:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-შტურმი ......... 1:1
კაფენბერგი-ინსბრუკი ......... 0:1
მატერსბურგი-ნოიშტადი ......... 0:1
რაპიდი-ადმირა ......... 2:1

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-ბეერსხოტი ......... 3:1
ვარეგემი-მონსი ......... 2:3
ლიერსი-კორტრაიკი ......... 2:0
სტ.ტრუიდენი-მეხელენი ......... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-ერგოტელისი ......... 0:1
ქსანთი-პანიონიოსი ......... 1:0
პანათინაიკოსი-ასტერასი ......... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-გაზიანთები ......... 0:0
ქარაბუქი-მერსინი ......... 3:5
ერჩიესი-ქაისერი ......... 1:0
ბურსა-ანთალია ......... 0:0

**ხელბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

ნორვეგია-ესპანეთი ......... 30:22

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ფილადელფია-ბოსტონი ......... 0:6
ვინიპეგი-ანაჰაიმი ......... 5:3
დეტროიტი-ლოს ანჯელესი ......... 8:2
კოლამბუსი-ტამპა ბეი ......... 2:3
მონრეალი-ნიუ ჯერსი ......... 3:5
პიტსბურგი-ბუფალო ......... 8:3
ტორონტო-ვანკუვერი ......... 3:5
მინესოტა-აილენდერსი ....... 1:1(0:1ბ)
ნეშვილი-სენტ ლუისი ......... 1:1(1:0ბ)
ფინიქსი-რეინჯერსი ......... 2:3
კოლორადო-ვაშინგტონი ......... 2:1
სან ხოსე-ედმონტონი ......... 3:2

# ჩემპიონთა და ევროპის ლიგა დაწყვილდა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის კენჭისყრა გაიმართა და ჯგუფური ეტაპიდან გასული 16 გუნდი მერვედფინალისთვის დაწყვილდა.

ჯგუფურ ეტაპზე პირველ ადგილზე გასული გუნდები კენჭისყრაზე განთესილები იყვნენ და ერთმანეთს აერიდნენ. ისინი ჯერ გასვლას ითამაშებენ, შემდეგ კი შინ დაუხვდებიან მეორეადგილოსნებს.

ჩემპიონთა ლიგა ორ თვეში გაგრძელდება. მერვედფინალის პირველი მატჩები 14-15 და 21-22 იანვარს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრები კი 6-7 და 13-13 მარტს შედგება.

მერვედფინალის მონაწილე 16 გუნდი ასე დაწყვილდა: ლიონი (საფრანგეთი) – აპოელი (კვიპროსი); ნაპოლი (იტალია) – ჩელსი (ინგლისი); მილანი (იტალია) – არსენალი (ინგლისი); ბაზელი (შვეიცარია) – ბაიერნი (გერმანია); ლევერკუზენი (გერმანია) – ბარსელონა (ესპანეთი); ცსკა (რუსეთი) – რეალი (ესპანეთი); ზენიტი (რუსეთი) – ბენფიკა (პორტუგალია); მარსელი (საფრანგეთი) – ინტერი (იტალია).

უეფა-ს შტაბბინაშივე ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრიდან მცირე ხანში კონტინენტის რანგით მეორე საკლუბო ტურნირის ევროპის ლიგის საპლეიოფო წყვილებიც გამოვლინდა. ჯგუფური ეტაპის 24 საუკეთესო გუნდი ჩემპონთა ლიგიდან გადმოსულ 8 გუნდთან ერთად 16-ფინალისთვის დაწყვილდნენ. პირველი მატჩები 16 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 23 თებერვალს გაიმართება.

მეთექვსმეტეფინალური წყვილები ასე გამოყურება: პორტო (პორტუგალია) – მანჩესტერ სიტი (ინგლისი); აიაქსი (ჰოლანდია) – მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი); ლოკომოტივი (რუსეთი) – ატლეტიკი (ესპანეთი); ზალცბურგი (ავსტრია) – მეტალისტი (ხარკოვი); სტოკი (ინგლისი) – ვალენსია (ესპანეთი); რუბინი (რუსეთი) – ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი); ალკმაარი (ჰოლანდია) – ანდერლეჰტი (ბელგია); ლაციო (იტალია) – ატლეტიკო (ესპანეთი); სტიაუა (რუმინეთი) – ტვენტე (ჰოლანდია); პლზენი (ჩეხეთი) – შალკე (გერმანია); ვისლა (პოლონეთი) – სტანდარდი (ბელგია); ბრაგა (პორტუგალია) – ბეშიქთაში (თურქეთი); უდინეზე (იტალია) – პაოკ (საბერძნეთი); ტრაბზონსფორი (თურქეთი) – პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია); ჰანოვერი (გერმანია) – ბრიუგე (ბელგია); ლეგია (პოლონეთი) – სპორტინგი (პორტუგალია).

# ჟორჟოლიანი დიდი პრიზის ვერცხლისმედალოსანია

ქართველი ძიუდოისტის ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ.) ჩინეთის ქალაქ ქინგდაოში მიმდინარე დიდი პრიზის გათამაშების ვერცხლისმედალოსანი გახდა.

ფინალამდე ლევანმა აშშ-ს სახელით მოასპარეზე შინტარო ჰიგაში, ფრანგი სირილ მარე და უზბეკი უკტურ კურბანოვი წმინდად დაამარცხა, ნახევარფინალში კი უკრაინელ არტიომ ბილოშენკოს ორი იუკო და ვაზარი აართვა. აღსანიშნავია ისი, რომ საწყის ეტაპებზე ორთაბრძოლებში ლევანს მეტოქეებისთვის არც ერთი ქულა არ დაუთმია.

ტურნირის ფინალში ჟორჟოლიანს დასაწყისში ვაზარი გაეპარა. მართალია, შემდეგ გააქტიურდა და კორეელ ჰეე-ტაე ჰვანგს ორი გაფრთხილების ხარჯზე იუკო აართვა, თუმცა ბრძოლის გადარჩენა ველარ მოახერხა.

ჟორჟოლიანმა ჩინური წარმატებისთვის 120 სარეიტინგო ქულა შეიმატა და მსოფლიო კლასიფიკაციაში ისევ გადაასწრო ირაკლი ცირეკიძეს, რომლისთვისაც გასული ტურნირი წარუმატებელი გამოდგა. ამ უკანასკნელმა პირველ რაუნდში უნგრელ ბალინტ ფარკაშს იპონით კი სძლია, თუმცა, შემდეგ ამავე ილეთით იაპონელ რიუნოსუკე ჰაგასთან დამარცხდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ვაჟა-ფშაველაზე კატალოგი შეიქმნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ვაჟა-შაველას დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად ვაჟას კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოში იუნესკოს წარმომადგენლები, მწერლები, გამომცემლები, ვაჟა-ფშაველას შთამომავლები და კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დაესწრნენ. კატალოგში გამოყენებულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არქივებში დაცული ფოტო და დოკუმენტური მასალა. ტექსტი კატალოგისათვის დაწერა მწერალმა და პოეტმა ბესიკ ხარანაულმა. კატალოგი ორენოვანია და წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ვაჟას იუბილესთან დაკავშირებით გამოაცხადა საგანგებო კვირეული, სადაც თითქმის ყველა საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა. მთის არწივად წოდებულ შემოქმედს უნივერსიტეტებმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ და საქართველოს თეატრებმა სპეციალური წარმოდგენები გამართეს. რუსთაველის თეატრმა დადგა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, ახმეტელის თეატრმა ვაჟას პროზა გააერთიანა სპექტაკლში „ვაჟა“, დუშეთის კულტურის სახლში კი ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი დაიდგა. სპექტაკლს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დუშეთის მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ.

**ვახტანგ რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას შთამომავალი:**

– 2011 წელს იუნესკოს ეგიდით აღინიშნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლის იუბილე. საიუბილეო წელთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ იუნესკოს თანადაფინანსებით გამოსცა ვაჟა-შაველას აღნიშნული კატალოგი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში, ფონდებსა და არქივებში მოძიებული უნიკალური ფოტოები, ხელნაწერები, მათ შორის ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი და გამოუცემელი მასალა. მთელი წელი ვაჟასია, ამიტომ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები სულ ტარდება. ჩვენ ჩავატარეთ „საჩუქარი ვაჟას“, რომელიც ვაჟას იუბილეს მიეძღვნა, სექტემბრის დასაწყისში კი ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ მოვაწყეთ. მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყველა საჯარო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელსა თუ სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა ვაჟასადმი მიძღვნილი ღონისძიებები, საქართველოს თეატრებში დაიდგა სპექტაკლები ვაჟას ნაწარმოებების მიხედვით. ამჯერად კი საქართველოს კულტურის სამინისტრომ ეს არაჩვეულებრივი ფოტოალბომი დაბეჭდა. მასში მართლა ძალიან საინტერესო მასალაა შეტანილი და იმედს ვიტოვებ, რომ ის ყველა ასაკის მკითხველს დააინტერესებს.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– ეს კატალოგი ვაჟა-ფშაველას 150 წლის საიუბილეოდ იუნესკოს ეგიდით გამოიცა. ალბომში თავმოყრილია უნიკალური ფოტოები, რომლებიც აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, ვაჟა-ფშაველას საიუბილეოდ სამტომეულიც გამოსცეს. ჩვენ უკვე ჩავატარეთ კონკურსი საუკეთესო სიმღერა ვაჟას ლექსებზე, რომელსაც სამი გამარჯვებული ჰყავს.



– ***რით არის ეს კატალოგი გამორჩეული?***

– ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე სრულყოფილი ფოტოალბომი, კატალოგი, ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი ვაჟა-ფშაველას სურათებისა, რომელიც იყო მიმოფანტული რამდენიმე არქივში. ამ ალბომში კი ყველა ერთად შეიკრიბა და გვაქვს არაჩვეულებრივი ფოტოალბომი. ამით გაჩნდა კიდევ ერთი ფანჯარა ამ ნამდვილი გენიოსის, დიდი ქართველის ცხოვრებაში შესახედად და მისი ყოველდღიურობის გასაცნობად.

**ბესიკ ხარანაული, მწერალი:**

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კატალოგის ტექსტის დაწერა მომანდეს. ეს არის ნამდვილი გენიოსი, რომელიც თაობებს სულიერ ღირებულებებს ასწავლის. მოხარული ვარ, რომ მისი იუბილე იუნესკოს ეგიდით აღინიშნება და მისი შემოქმედება მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

# ფილიპინებზე წყალდიდობას 550-მდე ადამიანი შეეწირა

ფილიპინებზე წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 500-მდე გაიზარდა. ასობით ადამიანი დაკარგულად ითვლება.



ყველაზე მეტი მსხვერპლი სტიქიას კუნძულ მინდანაოზე, ქალაქ კაგაიან-დეოროში მოყვა.

ქვეყნის ხელისუფლება მედიკამენტებისა და კვების პროდუქტების დეფიციტზე საუბრობს.

ქალაქის ადმინისტრაციის მონაცემებით, წყლის დონემ ღამით მოიმატა, როდესაც მოსახლეობის უმეტესობას ეძინა.

– მრავალი მათგანი ვერც კი მიხვდა თუ რა ხდებოდა, – წერს უცხოულრი მედია.

ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ დაღუპულთა რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს.

ამავდროულად. მოსახლეობა ხელისუფების კრიტიკით გამოდის, რომელმაც ვერ შესძლო მათი წინასწარი გაფრთხილება სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით.

წყალოვარდნა – წყლის დონის უეცარი მატებაა, განპირობებული თავსხმა წვიმებით ან თოვლის ინტენსიური დნობით. წყალმოვარდნა ძნელადპროგნოზირებადი მოვლენაა.

მდინარეთა წყალდიდობა – ოთხი ტიპისაა, რომლებიც ერთმანეთისაგან განმეორების სიხშირით, მასშტაბით და მიყენებული ზიანის ოდენობით განსხვავდებიან.

ესენია: უმნიშვნელო წყალდიდობა დამახასიათებელია ვაკის მდინარეებისათვის, აღინიშნება 5-10 წელიწადში ერთხელ.

წყალდიდობისას იფარება მდინარის მიმდებარე ტერიტორიის 1/10, არ იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და არ არღვევს ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს.

მნიშვნელოვანი წყალდიდობა – დამახასიათებელია როგორც ვაკის, ისე მთის მდინარეებისათვის, აღინიშნება 20-25 წელიწადში ერთხელ.

წყალდიდობისას ფარება მდინარის ხეობის მნშივნელოვანი ნაწილი. იწვევს არსებით მატერიალურ ზარალს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ევაკუაციას და ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლას.

მასშტაბური წყალდიდობა – მოიცავს მდინარის მთელ აუზს, აღინიშნება 50-100 წელიწადში ერთხელ.

ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად იფარება მდინარის მიმდებარე ტერიტორია, დასახლებული პუნქტები.

იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს, მკვეთრად ცვლის ადამიანთა ყოფა-ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობას, მოითხოვს მოსახლეობისა და მატერიალური ფასეულობების ევაკუაციას.

კატასტროფული წყალდიდობა – იტბორება უზარმაზარი ტერიტორიები, მთლიანად, პარალიზებულია ადმიანის საქმიანობა.

მოიცავს არაერთი მდინარის აუზს, აღინიშნება 100-200 წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად.

ამგვარი წყალდიდობა იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, უდიდეს მატერიალურ ზარალს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## რამდენად ტოლერანტული ხართ?

ტესტი



***1. არის თუ არა უსიამოვნო თქვენთვის სიტუაცია, როდესაც თქვენს გეგმაზე უარის თქმა გიხდებათ, რადგან ისეთივე გეგმა თქვენმა კოლეგებმა წამოაყენეს?***

ა. დიახ, ბ. არა

***2. მეგობრებს შეხვდით, თამაში შემოგთავაზეს. რას ამჯობინებთ:***

ა. მხოლოდ მათ მონაწილეობას, ვინც კარგად თამაშობს. ბ. ყველას მონაწილეობას.

***3. იწვევენ თუ არა თქვენს უარყოფით დამოკიდებულებას ის პირები, ვინც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალი გამოდიან.***

ა. არა, თუ მიღებულ წესებს არ არღვევენ. ბ. არ მსიამოვნებს ადამიანები, ვინც თავს ვერ აკონტროლებენ.

***4. შეგიძლიათ თუ არა ადვილად იპოვოთ კონტაქტი სხვა პროფესიის, მდგომარეობის, წეს-ჩვეულებების ადამიანებთან?***

ა. მიჭირს. ბ. არ ვაქცევს ამას ყურადღებას.

***5. როგორ რეაგირებთ ხუმრობაზე, რომლის ობიექტიც თავად ხართ?***

ა. არ მოგწონთ ბ. არ გსიამოვნებთ, მაგრამ ცდილობთ ხუმრობაში გაატაროთ.

***6. მშვიდად ხვდებით უსიამოვნო ამბავს?***

ა. დიახ. ბ. არა.

***7. თუ იზიარებთ აზრს, რომ მრავალ ადამიანს სხვისი ადგილი უკავია ცხოვრებაში?***

ა. დიახ. ბ. არა.

***8. კამპანიაში მეგობარი მიიყვანეთ, რომელიც საყოველთაო ინტერესის ობიექტი გახდა. როგორ რეაგირებთ ამაზე?***

ა. არ გსიამოვნებთ, რომ კონკურენტი გამოგიჩნდათ. ბ. გიხარიათ მისი წარმატება

***9. სტუმრად შეხვდით ხანდაზმულ ადამიანს, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდებს აკრიტიკებს და ძველ დროს ადიდებს. როგორ რეაგირებთ?***

ა. თავს არიდებთ. ბ. კამათში ერთვებით.

### პასუხების შეფასება ა — 1 ქულა, ბ. 2 ქულა

**9-12 ქულა:** თქვენ ჯიუტი და თავისნათქვამა ბრძანდებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველასთვის თქვენი აზრის თავსმოხვევას ცდილობთ. ასეთი ხასიათის გამო გიჭირთ ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება.

**13-15 ქულა:** შეგიძლიათ მტკიცედ დაიცვათ თქვენი ინტერესები, მაგრამ შეგიძლიათ დიალოგიც აწარმოოთ. კამათში გამარჯვების ძალაც შეგწევთ.

**16-18 ქულა:** თქვენი არგუმენტების სიმტკიცე შესანიშნავად არის შეხამებული ტაქტთან. შეგიძლიათ მიიღოთ ნებისმიერი იდეა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს იგი, მაშინაც კი, როდესაც მას არ იზიარებთ.

**გ. თ.**

## იუმორი



ბაყაყი ჭაობში მიხტის, გვერდში ისარი აქვს გარჭობილი. სხვა ბაყაყები ეკითხებიან:

– მოკვლას გიპირებდნენ?

– არა, უფლისწულმა ცოლობა მთხოვა...

***

– ჩემი ქალიშვილი სამხატვრო სტუდიაში სწავლობს აპოლონის თავს ხატავს. ყოველდღე სხვადასხვა რაკურსში. დღითიდღე უკეთ და უკეთ გამოსდის.

– რა, თავი უკვე აპოლონს ჰგავს?

– არა, თავს...

***

– აი შენ, მთავრობას აგინებ და არც კი იცი, რომ თითოეული ხალხი იმსახურებს იმ მთავრობას, რომელიც ჰყავს.

– შენ რომ გისმინოს კაცმა, იტვის, რომ ყოველი მოწამე თავის მტარვალებს იმსახურებს...

***

– ნუდისტური პლაჟი – ექსჰიბიციონისტის უდიდესი იმედგაცრუება...

***

– თქვენი შვილი ზედგამოჭრილი მამაა.

– ეგ არაფერი, მთავარია, ჯანმრთელი იყოს...

***

მომავალი გამყიდველი გამოცდას აბარებს:

– ერთი კილოგრამი რამდენი გრამია?

– რვაასი გრამი პლუს პაკეტი...

**გ. თ.**

## კროსვორდი



1. ინგლისური შეძახილი; 2. არც სიცხე, არც სიცივე; 3. ბიბლიური პერსონაჟი; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ცისანა (ყვავილი); 8. სახელმწიფოს რწმუნებული; 9. ძღვენი, საჩუქარი; 10. ფილმის ჩვენება გარკვეულ დროს; 11. პატიმრის ოთახი; 12. მოსაჩვენებელი მამაცობა; 13. პარკოსანი მცენარე; 14. დაცლილი ვაზნა; 15. საფოსტო ნიშანი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა; 17. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 18. ცნობილი ქართული ანსამბლი; 19. მოკლელულიანი შაშხანა; 20. ტაბლეტი; 21. გომბეშო; 22. დახურული ოთხთვალა ეტლი; 23. მუშაობის უნარი; 24. პატარა მგალობელი ფრინველი; 25. თევზსაჭერი გემი; 26. მცირე ზომის ალეგორიული მოთხრობა; 27. მაგარი სასმელი; 28. ყვავილი; 29. სოფელი კასპის რაიონში; 30. ... პაჩინო; 31. ნაბიჯი ბალეტში; 32. სიო; 33. სახელმწიფო ევროპაში.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. გობელენი; 2. ფსირცხა; 3. ატრია; 4. დარნიცა; 5. ჯორჯონე; 10. მიოკარდი; 11. ნინოწმინდა; 12. ანორაკი; 15. ხვანჭკარა 16. აიაზმა; 17. რონალდუ; 20. კიოტო.

**თარაზულად**: 6. კონოსამენტი; 7. ტაპიორი; 8. კვაზარი; 9. ფესახი; 13. ყელი; 14. ციბონა; 18. პრიმადონა; 19. ტონგა; 21. ფიატი; 22. რაუნდი; 23. ხუზისტანი 24. დიასტოლა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სოლისიტორი; 2. მონაკო; 3. ბარნელა; 4. ლუქსი; 5. სერჟანტი; 6. შერპი; 7. ვალენსა; 9. ენძელა; 13. კილტი; 17. ქადა; 18. ლიე.

**თარაზულად**: 1. სუნიზმი; 3. ბუშელი; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ესაძე; 12. დიაფანი; 14. ატელიე; 15. დმანისი; 16. ტაქსა; 19. შატილი; 20. ჩიხრაძე; 21. არლანი.

# გარდაიცვალა ვაცლავ ჰაველი — პრეზიდენტი, დისიდენტი, დრამატურგი

პრაღაში 76 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და დამოუკიდებელი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი გარდაიცვალა.

ამის შესახებ „როიტერი“ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ პეტერ ნეჩასზე დაყრდნობით იუწყება.

— ჰაველი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გართულებების გამო გარდაიცვალა, — ნათქვამია ჩეხეთის ტელევიზიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჰაველი ჩეხოლოვაკიის ბოლო (1989-1992 წწ.) და ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი იყო (1993-2003).

კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ჰაველი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინებოდა.

ის იყო ადამიანის უფლებათა მანიფესტის, „ქარტია 77“-ის ერთ-ერთი ავტორი და ხელმომწერი — დოკუმენტისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ოპოზიციური მოძრაობის წარმმართველ ძალად იქცა.

ჰაველი ფილტვის კიბოთი იყო ავად და ბოლო წლებში რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა.

— ჰაველი ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, — აღნიშნავს „გაზეტა.რუ“. მან პოსტსოციალისტურ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარება შეძლო, რომლებიც დემოკრატიის და ჰუმანიზმის ჰაველისეულ იდეალებს არ ეწინააღდეგებოდა.

ჩეხი დრამატურგი, ესეისტი, დისიდენტი და პოლიტიკოსი ვაცლავ ჰაველი 1936 წლის 5 ოქტომბერს დაიბადა. იყო ჩეხოსლოვაკიის მეათე და უკანასკნელი პრეზიდენტი (1989-92) და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი (1993-2003).

დაწერილი აქვს ოცზე მეტი პიესა და რამდენიმე თხზულება, რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ჰაველს მიღებული აქვს ამერიკის პრეზიდენტის თავისუფლების მედალი, ფილადელფიის თავისუფლების მედალი, კანადის ორდენი და კეთილი ნების ელჩის წოდება. ჰაველი დასახელებული იქნა მსოფლიოს მთავარი 100 ინტელექტუალთა შორის, მეოთხე ნომრად.

ჰაველი არის ცნობილი დოკუმენტის — პრაღის დეკლარაცია ევროპის ნებისა და კომუნიზმის შესახებ, დამფუძნებელი ხელმომწერი.

ჰაველი პრეზიდენტი „ხავერდოვანი რევოლუციის“ შედეგად გახდა. ამ თანამდებობაზე ჰაველმა ჯერ ჩეხოსლოვაკია შემეგ კი ჩეხეთი მულტი-პარტიულ დემოკრატიად აქცია.



მისი მმართველობის 13 წელიწადში, ქვეყანამ რადიკალური ცვლილება განიცადა. მათ შორის იყო სლოვაკიასთან გამოყოფა, რასაც ჰაველი ეწინააღმდეგებოდა, ნატოს წევრობის მოპოვება და ევროპის კავშირის წევრობაზე დიალოგის დაწყება, რომელიც 2004 წელს, ჰაველის თანამდებობიდან წასვლის წლისთავზე, ჩეხეთის ევროკავშიში გაწევრიანებით დასრულდა.

ვაცლავ ჰაველი დაიბადა პრაღაში, 1936 წლის 5 ოქტომბერს. იგი იზრდებოდა ცნობილ და მდიდარ ინტელექტუალთა და საქმოსანთა ოჯახში, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო 1920-40 წლებში ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან.

ჰაველის მამა ფლობდა პრაღის ყველაზე მაღალ წერტილზე განლაგებულ უბან ბარანდოვს, მისი დედა კი ცნობილი ჟურნალისტისა და ელჩის ქალიშვილი იყო. ასეთი ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო, კომუნისტურმა რეჟიმმა ჰაველს ფორმალური განათლების მიღბა აუკრძალა.

1950-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდა ჰაველი ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიაში ოთხი წლით მოეწყო შეგირდად.

ამავდროულად იგი სწავლობდა საღამოს კლასებზე და 1954 წელს საშუალო განათლება დაასრულა.

პოლიტიკური მიზეზების გამო, ჰაველი არ მიიღეს არცერთ ჰუმანიტარული სწავლების კურსზე რის გამოც მან ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, თუმცა აქ მან მხოლოდ ორი წელი დაჰყო.

1964 წელს, ჰაველმა საკუთარი დედის ნების წინააღმდეგ ცოლად მოიყვანა პროლეტარი ოლგა სპლიჩალოვა.

მისი ოჯახის ინტელექტუალური ტრადიციის შესაბამისად, ვაცლავ ჰაველმა გადაწყვიტა ჰუმანიტარულ გზას გაჰყოლოდა.

1957-59 წლებში სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, ჰაველი მუშაობდა სცენის ასისტენტად თეატრში — თეატრი ბალუსტრადაზე და სწავლობდა დრამას პრაღის თეატრალურ აკადემიაში.

ჰაველის პირველი სრულ-სიგრძიანი პიესა იყო ბაღის წვეულება (1963). იგი წარმოდგენილი იქნა ბალუსტრადაში გამართულ აბსურდის თეატრის სეზონზე და მან ჰაველს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

მალე ჰაველმა დაწერა მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესა მემორანდუმი და კონცენტრირების უფრო დიდი სირთულე. 1968 წელს, მემორანდუმი დაიდგა ნიუ-იორკის საჯარო თეატრში, რამაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰაველის რეპუტაციის დამკვიდრებას ხელი შეუწყო.

საჯარო თეატრმა ჰაველის პროდუქციის დადგმა შემდეგი ოცი წლის მანძილზე გააგრძელა, თუმცა ჩეხოსლოვაკიაში ჰაველის პიესები აკრძალული იყო, თვითონ ჰაველი კი ვერ ტოვებდა ქვეყანას იმისათვის, რომ მისი პიესების უცხოური დადგმები თავად ეხილა.

# ყაზახეთში არეულობამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გადაინაცვლა

ყაზახეთში მიმდინარე არეულობებმა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გადაინაცვლა. „ეხო მასკვის“ ინფორმაციით, არიან დაღუპულები და დაჭრილები.

ათობით ამბოხებულმა მანგისტაუსკის ოლქში, სადგურ „შეტლში“ რკინიგზა გადაკეთა და მატარებლების მუშაობა შეაფერხა.

ამბოხებულები ქალაქ ჟანაოზენში, სადაც 11 ადამიანი დაიღუპა, მასობრივი აქციების მონაწილეებს სოლიდარობას უცხადებენ.

ხელისუფლების განცხადებით, პროტესტის მონაწილეებმა რკინიგზის მუშაობის ბლოკირების მოხსნაზე უარი თქვეს. მათ დაწვეს თბომავალი და იქვე მდებარე სოფლის დარბევა დაიწყეს.

მომიტინგეებმა სამართალდამცველებს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს. შედეგად, პოლიციამ ამბოხებულების მიმართ ცეცხლი გახსნა.

12 ადამიანი მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს. მათგან ერთი დაიღუპა.



ყაზახეთში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართული აქცია 16 დეკემბერს პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, დაღუპულია 11, ხოლო დაჭრილია 80-ზე მეტი მოქალაქე. დაპირისპირება მენავთობეებსა და სამსახურიდან გათავისუფლებულ მუშებს შორის მოხდა.

დაჭრილებისათვის დახმარების აღმოჩენა გრძელდება. დონორების მიერ გრძელდება სისხლის ჩაბარება.

არაოფიციალური მონაცემებით, ყაზახეთის დამოუკიდებლობის დღის ზეიმის დროს პოლიციასთან შეტაკებების დროს 500 დან 800 ადამიანამდე დაშავდა. საავადმყოფოებში ადგილების უკმარისობის გამო დაჭრილები 150 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ აკტაუში გადაჰყავთ.

ჟანაოზენში მიმავალი ყველა გზა გადაკეტილია, ქალაქში შეყვანილია ჯარი, ქალაქის თავზე ვერტმფრენები ფრებენ. კვლავინდებურად არ არის მობილური კავშირგაბმულობა. რეგიონში გამორთულია ინტერნეტი.

ოპოზიციური მედია ირწმუნება, რომ დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მეტია და ის 70 ადამიანს აღწევს.

არეულობა ყაზახეთის ქალაქ ჟანაოზენში ნავთობის კომპანიების ყოფილმა თანამშრომლებმა დაიწყეს.



აღნიშნულ ინფორმაციას ქალაქ ჟანაოზენის ხელმძღვანელობა არ ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ არეულობის ინიციატორები სამუსაო ფორმებში იყვნენ ჩაცმულნი და ჯოხებით, გადაჭრილი მილებითა და ბენზინით სავსე ბოთლებით იყვნენ შეიარაღებულნი.

მომხდარის გამოსაძიებლად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც ყაზახეთის შს მინისტრი კალმუხანბეკ კასიმოვი უდგას სათავეში. მან რუსული მედიისათვის მიცემულ კომენტარში განაცხადა, რომ ქალაქ ჟანაოზენში ამჟამად სიტუაცია მშვიდია, გამოსვლები ჩახშობილი და მოედანზე არავინ არ არის.

მისივე თქმით, არეულობის მოწყობაში ეჭვნიტანილი დაკავებულია 70 ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „ოზენმუნაიგაზ“-ის მუშებმა გაფიცვა, ხელფასის შემცირების გამო ჯერ კიდევ მაისში დაიწყეს. მათი ხელფასი ყაზახეთში ერთ ერთ ყველაზე მაღალ ხელფასად ითვლება და დაახლოებით 2 ათას აშშ დოლარს შეადგენს. თავად მუშებს კი ეს ხელფასი არ აწყობთ და ისინი მის გაზრდას მოითხოვენ.

ამას გარდა, ისინი მოითხოვენ ჯერ კიდევ მაისში დაკავებული პროფკავშირების იურისტის ნატალია სოკოლოვას გათავისუფლებას, რომელიც არასანქცირებული მიტინგის მოწყობის ბრალდებით დააკავეს.

არაოფიციალური მონაცემებით, გაფიცვაში დაახლოებით 15 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ყაზახეთის ხელისუფლება დათმობებზე არ მიდის და აცხადებს, რომ გამოსვლები უკანონოა.

პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის განკარგულებით, ქალაქ ჟანაოზენეში 20-დღიანი საგანგებო რეჟიმი იქნა შემოღებული.

საგანგებო რეჟიმი 2011 წლის 17 დეკემბრის 18:00 საათიდან 2012 წლის 5 იანვრის 07:00 საათამდე იმოქმედებს და ამ დღეების განმავლობაში ქალაქში 23:00 საათიდან 07:00 საათამდე კომენდანტის საათი იმოქმედებს.

საგანგებო რეჟიმის პერიოდში გაძლიერებული იქნება საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა, თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდება, მიტინგები, გაფიცვები და მსვლელობები კი აიკრძალება.

ამ ფონზე, ყაზახეთის ქალაქ ჟანაოზენეში რუსი ჟურნალისტები დააკავეს.

ამ დროისთვის „ლენტა.რუს“ სპეციალური კორესპოდენტი ილია აზარი, ასევე გამოცემა „კომერსანტის“ კორესპოდენტი ვლადიმერ სოლოვიევი და ფოტოგრაფი ვასილი შაპოშნიკოვი ქალაქის პოლიციის განყოფილებაში იმყოფებიან.

აზარის თქმით, ორ საათზე მეტია, ჟურნალისტები პოლიციის შენობაში ჰყავთ, სადაც ისინი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადაიყვანეს.

დაკავების დროს ჟურნალისტები პირადი ნივთების ნაწილი ჩამოართვეს.

რუსი ჟურნალისტები ჟანაოზენეში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად იმყოფებიან.

თავის მხრივ, ევროკავშირი ყახაზეთში მომხდარი არეულობის გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ქეთრინ ეშტონმა გააკეთა.

მისი თქმით, ევროკავშირს იმედი აქვს, რომ ყაზახეთის ხელისუფლება 16 დეკემბერს მომხდარი არეულობის ფაქტებს გამოიძიებს და პრობლემების სოციალური დიალოგის ფარგლებში გადაწყვეტას შეძლებს.

ყაზახეთი ესაზღვრება რუსეთს, ჩინეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთს და თურქმენეთს. დასავლეთით მას კასპიის ზღვა აკრავს. ფართობი შეადგენს 2.717.000 კვ.კმ-ს. ამ მაჩვენებლით მას მე-9 ადგილი უკავია მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მისი ტერიტორია გადაჭიმულის კასპიის ზღვიდან ალტაის მთებამდე. მთავარი მდინარეებია ილი, ირტიში და იშიმი, ტბები — არალის, ბალხაშის და ზაისანის.

დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1990 წელს. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ყაზახეთს ერგო საბჭოთა კოსმონავტიკის ძირითადი ბაზა — ბაიკონურის კოსმოდრომი. მას დაახლოებით 6 ათასი კვ.კმ ფართობი უჭირავს, რომელსაც იჯარით იყენებს რუსეთი. ყაზახეთი არის დსთ-ს წევრი.

1999 წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 დეკემბერი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.50 10** პლუს **10 15.00** ჩვენი ფერმა **15.30** ჩვენი სამართალი **17.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი" 21.00** სერ. **"ნიკიტა" 22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **00.45** საფარი **01.15** მოამბე **01.35** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** (მ. ბრანდო) **03.35** მხ. ფილმი **"არჩევნები"** (**18**) (მ. ბროდერიკი)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი" 20.00** მხ. ფ. **"გამიარა, მაგრამ არ დამვიწყებია" 21.30** დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"წმინდანი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა" 18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** ჯეოსტარი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** ან. ფილმი **08.00, 09.00, 10.00** ქრონიკა **08.15** სერ. **"ჰანა მონტანა" 1-2**ს. **09.15** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 1**-ლი ს. **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი" 16.00** სერ. **"შურისძიების საფასური" 17.40** სერ. **"ევა ლუნა" 19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** მხ. ფილმი **00.50** მუს. ლიგა **02.10** მხ. ფილმი **"კომანდო"** (**15**) (ა. შვარცენეგერი) **04.10** მხ. ფილმი **"აბვისტო"** (**15**) (ჯ. რობერტსი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ბარნუმი" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"კლეოპატრა" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **"ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35** სერ. **"ჩემი მიწა" 15.15** სერ. **"ექიმი ქმორი" 16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"დღე პირველი, დღე უკანასკნელი" 13.30** კონცერტი — ვაჟა აზარაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"ალალი" 16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"მე მოვედი" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **22.40** დოკ. ფილმი "დები გოგოჭურები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა ათონელი მამები" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 დეკემბერი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4–13, ღამით — 0–3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19–24, ღამით — 12–15

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4–5, ღამით — -9–1

## ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისთვის








# 30 ნოემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## გივი სიხარულიძემ წიგნები უკრაინაში წარადგინა

ეკა ირემაშვილი



ქართველმა მწერალმა და მსახიობმა გივი სიხარულიძემ საკუთარი წიგნები უკრაინაში ჩაიტანა და იქაურ საზოგადოებას გააცნო. ღონისძიება უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და პირადად ელჩის გრიგოლ ქათამაძის უშუალო ხელშეწყობით დაიგეგმა. მწერალთან შეხვედრაც საქართველოს საელჩოში გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, უკრაინის მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, პოეტი რაულ ჩილაჩავა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ. გივი სიხარულიძის წიგნის პრეზენტაციასთან ერთად შეკრებილი საზოგადოებისთვის მსახიობზე გადაღებული ფილმის ჩვენებაც მოეწყო. როგორც გივი სიხარულიძემ განაცხადა, მისი წიგნის პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში ვენაში გაიმართება.

## მარიტა როხვაძე შეყვარებულია

ეკა ირემაშვილი



„ჯეოსტარის“ ერთ-ერთი ლიდერი მარიტა როხვაძე შეყვარებულია. 18 წლის ქუთაისის წარმომადგენელი არ მალავს, რომ უკვე ერთი წელია ყურებამდეა შეყვარებული და მას არაჩვეულებრივი ადამიანი უყვარს. მართალია, თავისი რჩეულის გამხელას ჟურნალისტებისთვის მარიტა არ აპირებს, თუმცა, იმას კი ღიად აცხადებს, რომ მისი შეყვარებული საზღვარგარეთ სწავლობს და ამიტომ სულ ენატრება. მარიტა თავის რჩეულს საახალწლოდ ელოდება, რომელიც ფინალურ კონცერტზე დასასწრებად უნდა ჩამოვიდეს. სანამ საქართველოში ჩამოვა, კონკურსანტს შეყვარებული ინტერნეტით გულშემატკივრობს.

მარიტამ და მისმა რჩეულმა ერთმანეთი ქუთაისში გაიცნეს. ორივე 18 წლის არის და მათი ოჯახები მათი სიყვარულის საქმის კურსში არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათმა ოჯახებმა ყველაფერი იციან, მარიტა თავის რჩეულს საქმროს მაინც არ უწოდებს, ის მისთვის ჯერ მხოლოდ შეყვარებულია. მარიტა აღიარებს, რომ ეჭვიანი არ არის, უფრო სწორად, არც ერთი არ აძლევს ერთმანეთს ეჭვიანობის საბაბს.

უახლოეს მომავალში წყვილი დაქორწინებას არ აპირებს, რადგან ორივე 18 წლისაა და ორივე სწავლობს. მომღერალი აცხადებს, რომ შეყვარებული მარიტა ისეთივე ემოციური, გიჟი და გადარეულია, როგორიც სცენაზე „ჯეოსტარის“ ტურების დროს.

## იგორ კოკოშკოვმა და საქართველოს ნაკრებმა ხელი მოაწერეს



საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მინიმუმ კიდევ 2 წლით იგორ კოკოშკოვი უხელმძღვანელებს. თუმცა, ხელშეკრულება 2+2 წლიანია და სურვილის შემთხვევაში კონტრაქტი ზედმეტი პროცედურების გარეშე, თავისთავად გახანგრძლივდება. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ საპრესკონფერენციო დარბაზში სერბ სპეციალისტთან კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა. იგორ კოკოშკოვი თბილისში ამერიკიდან წუხელ ჩამოფრინდა და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ყვარელში გაემგზავრა, სადაც საქართველოს პრეზიდენტისგან ეროვნულ ნაკრებში გაწეული შრომისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდება.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— მიგვაჩნია, რომ გასული 4 წლის განმავლობაში იგორ კოკოშკოვმა ნაყოფიერად იმუშავა და მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სწორი გადაწყვეტილებაა. მომავალ გეგმებს რაც შეეხება, ნაკრების გაახალგაზრდავებას ვგეგმავთ, რაც იმედია, სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაში დაგვეხმარება.

**იგორ კოკოშკოვი:**

— საქართველოში ყოფნა ძალიან მიხარია. ასე მგონია, სამშობლოში ვარ. კონტრაქტს, რაც შეეხება ეს უბრალო ფორმალობაა. ჩვენ ძველ რეჟიმში განვაგრძობთ მუშაობას და ვეცდებით, ყველა შეხვედრა მოვიგოთ. 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ ძლიერი გუნდები იასპარეზებენ, თუმცა, იმედია, მიღწეულ შედეგს გავაუმჯობესებთ, რადგან მოლოდინი დიდია და უარეს შედეგს საზოგადოება არ გვაპატიებს.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. პერგამენტის გრაგნილი; 5. წინასწარმეტყველი ქალი ძვ. საბერძნეთში; 6. მტაცებელი ცხოველი; 7. კეთილსურნელება; 8. შენობის მთავარი მხარე; 10. პირველი მამაკაცი; 13. საფრენი აპარატი; 15. რძის პროდუქტი; 16.წყალში მოზელილი ფქვილი; 17. სასწორის თეფში; 20. ძიუდოს ჭიდაობისას, იაკის ჭილოფის ხალიჩა; 21. იაპონური თეატრი; 22. ქათმების დასაჯდომო ხარიხა; 23. ბატკანი ერთ წლამდე.

**შვეულად:** 1. ყურის ექიმი; 2. კვირის დღე; 3. გურული სიმღერების შემსრულებელი გუნდი; 4. ხელოსანი; 5. დიატონიკური გამის მეოთხე საფეხური; 9. ფულის ერთეული საბერძნეთში; 11. თხელი გამჭვირვალე ქსოვილი; 12. ძველბერძნული სიმებიანი საკრავი; 14. საგნის გარეგანი მოხაზულობა; 18. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 19. ფართო მოსაცმელი პალტო.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

## ასტროპროგნოზი 19 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — არ გადაიღალოთ, თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გელით. **თხის რქა** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია სწორად გაანაწილოთ. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!